პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო
КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 184 (9344) | სამშაბათი, 5 აგვისტო, 1952 წ. | ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირის რკინიგზელებისაგან

საბჭოთა ხალხის დიდ ბელადსა და მასწავლებელს ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

კარგად მოვემზადოთ ახალი სასწავლო წლისათვის

ჩვენი ქვეყანა გაცხოველებით ემზადება ახალი სასწავლო წლისათვის. სკოლების პედაგოგთა კოლექტივები, სახალხო განათლების ორგანოები მუშაკები ისწრაფვიან კარგად შეხვდნენ მეცადინეობის დაწყებას.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ყოველდღე ზრუნავენ კომუნიზმის მომავალ მშენებელთა აღზრდისა და სწავლებისათვის. ამას წინათ საბჭოთა ხალხმა აღნიშნა ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის ოცდამეათე წლისთავის დღე. ამ დღეს ამხანაგი სტალინი, მიმართავდა რა მისალმებით ნორჩ პიონერებს, წერდა:

„სულით და გულით მივესალმები ნორჩ პიონერებსა და მოსწავლეებს ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის ოცდამეათე წლისთავის დღეს.

ვუსურვებ პიონერებსა და მოსწავლეებს ჯანმრთელობასა და წარმატებებს სწავლაში, შრომაში, საზოგადოებრივ მუშაობაში.

დაე პიონერთა ორგანიზაციამ კვლავაც აღზარდოს პიონერები და მოსწავლეები ერთგულ ლენინელებად, ჩვენი დიადი სამშობლოს თავდადებულ შვილებად“.

მშრომელთა ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის შთამაგონებელ სიტყვებს მთელი საბჭოთა ხალხი უდიდესი სიხარულის და თავისი მოზარდი თაობისათვის სიამაყის გრძნობით შეხვდა. ეს სიტყვები მოუწოდებენ პიონერებსა და მოსწავლეებს მოიპოვონ ახალი წარმატებანი სწავლაში, შრომაში, საზოგადოებრივ მუშაობაში, აღაფრთოვანებენ სახალხო მასწავლებელთა არმიის ახალი მიღწევებისათვის ნორჩი თაობის კომუნისტურ აღზრდაში.

არც ერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში ახალგაზრდა თაობის აღზრდისათვის ეხე არა ზრუნავენ და არც შეიძლება ზრუნავდნენ, როგორც საბჭოთა კავშირში. საბჭოთა სახელმწიფო სახსრებს არ იშურებს ბავშვების კარგი მოვლისა და ახალგაზრდობის კარგი აღზრდისათვის. მარტო წელს სახალხო განათლებისათვის გადადებულია 60 მილიარდი მანეთი. წარმატებით ხორციელდება საყოველთაო სავალდებულო შვიდწლიანი სწავლება ქალაქებსა და სოფელ ადგილებში, ფართოვდება საშუალო და უმაღლესი განათლება. ყოველწლიურად ათასობით ახალი სკოლა შენდება. მარტო გახულ წელს შვიდწლიანი და საშუალო სკოლების რიცხვი თითქმის ხუთი ათასით გადიდდა, ხოლო მოსწავლეთა რიცხვი მეხუთე-მეათე კლასებში ორ მილიონ ხუთასი ათასით გაიზარდა.

ჩვენში ყველა პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ ახალგაზრდა თაობა აღიზარდოს კომუნისტური სულისკვეთებით, იყოს მხნე და ხალისიანი, თავისი დიადი სამშობლოს ერთგული.

ახალი სასწავლო წლისათვის მომზადების პერიოდი მნიშვნელოვანი ეტაპია საბჭოთა სკოლის მთელი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების გზაზე. ამ პერიოდში სკოლების მუშაკები აჯამებენ გასული წლის შედეგებს, სახავენ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებებს, ზრუნავენ, რათა სკოლები მატერიალურად მოამზადონ მეცადინეობისათვის.

საბჭოთა სკოლის მთელი მუშაობის წარმატება უწინარეს ყოვლისა დამოკიდებულია მასწავლებელზე. სახალხო მასწავლებელი ჩვენს ქვეყანაში დიდი პატივისცემით სარგებლობს. იგი ასრულებს მოზარდი თაობის აღზრდის კეთილშობილურ საქმეს, ამზადებს კომუნისტური საზოგადოების აქტიურ და განათლებულ მშენებლებს.

„სახალხო მასწავლებელთა ფალანგა, — აღნიშნავს ამხანაგი სტალინი, — ერთ-ერთი უსაპირველესი ნაწილია ჩვენი ქვეყნის მშრომელთა დიადი არმიისა, რომელნიც აშენებენ ახალ ცხოვრებას სოციალიზმის საფუძველზე“.

აგვისტოში ყველგან მოეწყობა მასწავლებელთა ტრადიციული რაიონული თათბირები, მიძღვნილი მომავალი სასწავლო წლის უმნიშვნელოვანესი ამოცანებისადმი. გასული წლის შედეგების ღრმა ანალიზის საფუძველზე, კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაჩაღების საფუძველზე თათბირები უნდა დაეხმარონ მასწავლებლებს ორგანიზებულად დაიწყონ ახალი სასწავლო წელი, დაძლიონ თავიანთი მუშაობის ნაკლოვანებანი, უფრო ფართოდ გამოიყენონ საუკეთესო პედაგოგებისა და სკოლების გამოცდილება.

სახალხო განათლების ყველა მუშაკმა მთავარი ყურადღება უნდა მიაპყროს სკოლების სასწავლო და აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების ამოცანას. იდეოლოგიურ საკითხებზე საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებანი, ამხანაგ სტალინის გენიალური შრომები აიარაღებენ ჩვენს მასწავლებელთა კადრებს ახალი თეორიული დებულებებითა და დასკვნებით, ამაღლებენ საბჭოთა სკოლაში ყველა დისციპლინის სწავლების იდეურ-თეორიულ დონეს. საბჭოთა მასწავლებლობა მოზარდი თაობის აღზრდასა და სწავლებას საფუძვლად უდებს მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, მოწინავე საბჭოთა მეცნიერების უახლეს მიღწევებს.

ჩვენში წლითიწლობით სულ უფრო მატულობს ისეთ მასწავლებელთა რიცხვი, რომლებიც აღწევენ ყველა მოსწავლის მაღალ წარმატებას, აღმოფხვრილი აქვთ მეორეწელიანობა. საბჭოთა სკოლის მუშაკების პირდაპირი მოვალეობაა მოსწავლეთა კარგ წარმატებას მიაღწიონ სასწავლო-პედაგოგიური პროცესის სწორად მოწყობის გზით. ამ პასუხსაგები ამოცანის გადაწყვეტაში მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის რუსეთის სფსრ პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიას, რომელიც საბჭოთა პედაგოგიკის საკითხებში შემოქმედებითი აზრის შტაბი უნდა იყოს. აკადემიის კეთილშობილური ამოცანაა შეისწავლოს და განაზოგადოს პედაგოგიური შრომის ოსტატთა გამოცდილება, გააცნოს იგი საბჭოთა მასწავლებლობის ფართო მასას. სამწუხაროდ, ამ აკადემიის მუშაკები კვლავ სუსტად არიან დაკავშირებულნი ცხოვრებასთან, ნაკლებად მუშაობენ საუკეთესო მასწავლებლებისა და სკოლების გამოცდილების განსაზოგადებლად.

ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები, სახალხო განათლების ორგანოები მოვალენი არიან უზრუნველყონ, რომ საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონი მტკიცედ იქნას დაცული. ამოცანა ის არის, რომ სკოლის გარეთ არ დარჩეს სასწავლო ასაკის არც ერთი ბავშვი. ყოველი ღონისძიებით უნდა გავაფართოოთ სრული საშუალო განათლება. უმართებულოდ მოიქცა, მაგალითად, ტაშკენტის სახალხო განათლების სოფლქო განყოფილება, რომელმაც არ გაითვალისწინა შვიდწლიანი სკოლების კურსდამთავრებულთა სურვილი და დაგზავნა ოლქის სკოლების მერვე კლასებში მოსწავლეთა მიღების შემცირებული „საკონტროლო ციფრები“.

საბჭოთა სახელმწიფო ყველა პირობას ქმნის იმისათვის, რომ საშუალო განათლების მიღების შესაძლებლობა მიეცეთ იმ ქალიშვილებსა და ჭაბუკებს, რომლებმაც სხვადასხვა მიზეზით დროზე ვერ დაამთავრეს სკოლა. მათთვის შექმნილია მუშა ახალგაზრდობის საღამოს სკოლები, რომლებშიც სწავლობს ახეთ ათასობით ახალგაზრდა, შექმნილია აგრეთვე დაუსწრებელი საშუალო სკოლები. ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და სამეურნეო ხელმძღვანელი მუშაკები მოვალენი არიან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცეონ ამ სკოლების მუშაობას და სასწავლო წლისათვის მათს მომზადებას. არ შეიძლება დავუშვათ, რომ სამეურნეო ხელმძღვანელთა უყურადღებობის გამო მუშა ახალგაზრდობის სკოლების არა ჰქონდეთ მეცადინეობისათვის ნორმალური პირობები. ამავე დროს სწორედ ასეთია მდგომარეობა ალმა-ატის მთელ რიგ საწარმოებში, სადაც საღამოს სკოლები უზრუნველყოფილი არ არიან მოწყობილობითა და შენობებით, რის გამო მათ შემოეფანტათ მოსწავლეთა მნიშვნელოვანი ნაწილი.

წელს სოლელმა ულდა მიიღონ 176 მილიონზ ცალამდე ახალი სახელმძღვანელოები — თერთმეტი მილიონი ცალით მეტი, ვიდრე შარშან, დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მეცადინეობის დაწყებისათვის ყველა მოსწავლეს ჰქონდეს საჭირო სახელმძღვანელოები. მაგრამ სახელმძღვანელოების გამოშვება ყველგან როდი მიმდინარეობს დამაკმაყოფილებლად. ამ საქმეში განსაკუთრებით ჩამორჩენიან კარელია-ფინეთის და საქართველოს სსრ, აგრეთვე უდმურტეთის, ჩრდილოეთ ოსეთის, ჩუვაშეთის ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროები და პოლიგრაფიული საწარმოები.

უნდა დაჩქარდეს სახელმძღვანელოების ბეჭდვა, უნდა მივაღწიოთ, რომ სახელმძღვანელოების გამოცემისა და სკოლებისათვის მათი მიწოდების დასახული გეგმები დროზე შესრულდეს.

მიღებულ უნდა იქნას ყველა ღონისძიება, რათა დროზე დამთავრდეს სასწავლო წლისათვის სკოლების მატერიალურ-ტექნიკური მომზადება — სახალხო შენობების მშენებლობა და რემონტი, სკოლების მომარაგება თვალსაჩინო სახელმძღვანელოებით, ხელსაწყოებით, სასწავლო-საწერი ნივთებით. ადგილებიდან მიღებული ცნობები მოწმობენ, რომ ზოგიერთ ოლქსა და რესპუბლიკაში მუშაობის ამ უბანზე სერიოზული ნაკლოვანებებია. არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს ახალი სკოლების მშენებლობა არხანგელსკის, ვოლოგდის, კიროვის ოლქებში, ბურიატ-მონღოლეთის ასს რესპუბლიკაში. რუსეთის სფსრ განათლების სამინისტროს „გლავსნაბპროსის“ ბევრი სავაჭრო ორგანიზაცია ნაკლებად ზრუნავს იმისათვის, რომ სკოლები დროზე იქნენ მომარაგებულნი სახელმძღვანელოებითა და სხვა სასწავლო ხელსაწყო-ნივთებით.

ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების მომზადება დიდი, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა. ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები მოვალენი არიან ყოველდღე მიაქცეონ ყურადღება სკოლებს, საზოგადოებრიობის შეუნელებელ კონტროლს დაუქვემდებარონ ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების მომზადება.

საბჭოთა სკოლა მოსწავლეებს აიარაღებს მეცნიერებათა საფუძვლების ცოდნით, ზრდის ახალგაზრდა თაობას ცხოველმყოფელი საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით, დიადი სამშობლოსადმი, ლენინ-სტალინის პარტიის საქმისადმი მხურვალე სიყვარულისა და ერთგულების სულისკვეთებით. მივაღწიოთ ახალ წარმატებებს სკოლის მუშაობაში — ეს არის ჩვენი ღვიძლი ბოლშევიკური საქმე!

„პრავდის“ 4/VIII მოწინავე

რკინიგზელის საკავშირო დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება თბილისში

3 აგვისტოს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სახაფხულო თეატრის შენობაში გაიმართა რკინიგზელის საკავშირო სტალინური დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება.

პრეზიდიუმის მაგიდას უსხედან ამხანაგები: ა. მგელაძე, ზ. კეცხოველი, ა. ანტონოვი, ვ. ცხოვრებაშვილი, ვ. ბუჯიაშვილი, ვ. ბაქრაძე, ა. კოპლავაშვილი, გ. კიკნაძე, გ. ვარდოსანიძე, გ. ზედგინიძე, მ. მაღრაძე, პ. გოლაშვილი, გ. ჯიბლაძე, თ. ლაშქარაშვილი, მ. ჩუბინიძე, მ. გაბუნია, ა. ჯორბენაძე, რკინიგზის ტრანსპორტის მეთაურები და სტახანოველები, საქართველოს დედაქალაქის საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

კრება გახსნა ამერკავკასიის რკინიგზის პოლიტგანყოფილების უფროსმა ამხ. ნ. გაბუნიამ.

კრების მონაწილეებმა უდიდესი აღფრთოვანებით აირჩიეს საპატიო პრეზიდიუმში საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო დიდი სტალინის მეთაურობით.

მოხსენება რკინიგზელის საკავშირო სტალინური დღის შესახებ გააკეთა ამერკავკასიის რკინიგზის უფროსმა ამხ. გ. კიკნაძემ. მან ილაპარაკა სახალხო-სამეურნეო ტვირთების გადაზიდვის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის გზაზე ფართოდ გაჩაღებული შეჯიბრების შესახებ, მძიმე წონის მატარებელთა ჩქარსსნული ტარების ოსტატებისა და გზაზე მოწინავე საბჭოთა ტექნიკის დანერგვის შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა აგრეთვე ამერკავკასიის რკინიგზის მუშაობაში არსებული მთელი რიგი ნაკლოვანებანი.

კრების მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს მისალმება საბჭოთა ხალხის საყვარელი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი.

დასასრულ გაიმართა კონცერტი. (საქდენი).

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

ჩვენ, საბჭოთა კავშირის რკინიგზელები, მხურვალე, გულითად სალამს გიძღვნით თქვენ, საყვარელ ბელადსა და მასწავლებელს, კომუნიზმის დიდ ხუროთმოძღვარსა და მშვიდობის მედროშეს.

თქვენი ბრძნული წინამძღოლობით, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენი საყვარელი სამშობლო, რომელიც სათავეში უდგას სოციალიზმისა და დემოკრატიის ბანაკს, გახდა მთელ მსოფლიოში მშვიდობის მძლავრი დასაყრდენი, დედამიწის ყველა უბრალო ადამიანის ნათელი იმედი. განუზომლად გაიზარდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა და კულტურა, წლითიწლობით სულ უფრო შეძლებული და საამური ხდება ცხოვრება საბჭოთა ქვეყანაში.

ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ვცხოვრობთ და ვმუშაობთ დიად სტალინურ ეპოქაში და ვეკუთვნით საბჭოთა ადამიანების გმირულ თაობას, რომლებიც იბრძვიან კომუნიზმის გამარჯვებისათვის. ჩვენ ბედნიერი ვართ იმით, რომ ვმონაწილეობთ ჩვენს ქვეყანაში ბუნების გარდაქმნის თქვენი გრანდიოზული გეგმების, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის გენიალური პროგრამის განხორციელებაში.

მწყობრში ჩადგა ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის არხი, აინთო ციმლიანსკის ჰიდროკვანძის შუქი. განხორციელდა რუსი ხალხის საუკუნეობრივი ოცნება ორი დიდი მდინარის—ვოლგისა და დონის შეერთების შესახებ. სწრაფი ტემპით მიმდინარეობს გიგანტური ელექტროსადგურების, არხების, სარწყავი სისტემების მშენებლობა, წარმოებს ჭაობების ამოშრობა, უდიდეს სივრცეებზე — ტყის გაშენება.

თქვენი მითითება სსრ კავშირში რკინიგზის ტრანსპორტის დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის შესახებ აღაფრთოვანებს საბჭოთა რკინიგზელებს ტრანსპორტის ახალი აღმავლობისათვის, ჩვენი საყვარელი სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის საბრძოლველად.

დღეს, როცა ჩვენი ქვეყანა აღნიშნავს რკინიგზელის საკავშირო სტალინურ დღეს, მოხარული ვართ მოგახსენოთ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, რომ რკინიგზელებმა 1951 წელს, ანაღდებდნენ რა სოციალისტურ ვალდებულებებს, ვადამდე შეასრულეს საბალხო-სამეურნეო ტვირთების გადაზიდვა. 1950 წელთან შედარებით ტვირთბრუნვა გადიდდა 12 პროცენტით. საშუალო სადღეღამისო დატვირთვის საერთო გეგმა რკინიგზებმა შეასრულეს 103 პროცენტით. 1951 წელს ვაგონის ბრუნვის დაჩქარების დავალება, რაც დაწესებული იყო სახელმწიფო გეგმით, აგრეთვე შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და ტვირთზიდვის თვითღირებულების შემცირების დავალები გადაჭარბებით შესრულდა. გადაჭარბებით შესრულდა მიმდინარე წლის პირველი ნახევრის ტვირთზიდვის საერთო გეგმა.

ეს წარმატებანი იმ განსაკუთრებული ყურადღების შედეგია, რასაც რკინიგზის ტრანსპორტისადმი იჩენენ ბოლშევიკური პარტია, საბჭოთა მთავრობა და იჩენთ პირადად თქვენ, ამხანაგო სტალინ. თქვენი მამობრივი ზრუნვის მეოხებით ტრანსპორტი იარაღდება ახალი ტექნიკით, განუწყვეტლივ მაღლდება რკინიგზელთა მატერიალური, ტექნიკური და კულტურული დონე, უმჯობესდება მათი შრომისა და დასვენების პირობები.

თქვენდამი, მშობლიურო იოსებ ბესარიონის-ძევ, დიდი მადლობისა და მხურვალე სიყვარულის გრძნობით აღსავსენი, ჩვენ უფრო მეტი ენერგიითა და თავდადებით ვიშრომებთ ჩვენი საბჭოთა სამშობლოს საკეთილდღეოდ, კომუნიზმის გამარჯვებისათვის. ჩვენ მტკიცედ გვახსოვს თქვენი სიტყვები, რომ საბჭოთა ადამიანებს არ შეშვენით მიღწეულით დაკმაყოფილება და რომ საქმე ისე წინ ვერ წავა, თუ არ არის ბოლშევიკური კრიტიკა და თვითკრიტიკა, ჩვენ ღრმად გვაქვს შეგნებული, რომ რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებებია. ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი უნდა ვიშრომოთ იმისათვის, რომ ყველა რკინიგზა მუშაობდეს შეთანხმებულად, ზუსტად და რიტმულად, რომ ასრულებდეს ტვირთების დადგენილ სახეობათა მიხედვით დატვირთვის წლიურ გეგმას, რომ არ იყოს ტექნიკური ექსპლოატაციის წესებისა და ინსტრუქციების, მატარებლების მოძრაობის გრაფიკის დარღვევის შემთხვევები, რომ უკეთ იქნეს გამოყენებული ტრანსპორტის შინარეზერვები, რომ გზათა სამინისტროს ყველა სამშენებლო ორგანიზაცია ასრულებდეს კაპიტალური მშენებლობის გეგმას, რომ ორთქლმავალ შემკეთებელი და ვაგონშემკეთებელი ქარხნები, აგრეთვე სატყეო მრეწველობის საწარმოები ასრულებდნენ სახელმწიფო გეგმას, რომ გამოყენებულ იქნას მგზავრების გადაყვანის გაუმჯობესების ყველა არსებული შესაძლებლობა. ჩვენს წინაშეა ამოცანა—ისე მოვაწყოთ საქმე, რომ რკინიგზის ტრანსპორტზე არ იყოს ჩამორჩენილი საწარმოები.

პირობას გაძლევთ, ამხანაგო სტალინ, რომ არ დავიშურებთ ძალებს რკინიგზების მუშაობის ახალი აღმავლობისათვის ბრძოლაში, თქვენი იმ მითითებების განუხრელად შესრულებისათვის ბრძოლაში, რომ ტრანსპორტი იყოს შეწყობილად მომუშავე, წესიერად მოქმედი, კარგი საათის მექანიზმივით ზუსტი კონვეიერი.

რკინიგზელის საკავშირო დღისათვის მზადებისას ფოლადის მაგისტრალების მშრომელებმა ახალი ძალით გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება ტვირთზიდვის სახელმწიფო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, ხარისხობრივი მაჩვენებლების ყოველი ღონისძიებით გაუმჯობესებისათვის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, ტვირთზიდვის თვითღირებულების შემცირებისათვის, სათბობის, ნედლეულისა და მასალების მომჭირნეობისათვის, ახალი ტექნიკის უკეთ გამოყენებისათვის.

ჩვენი ტრადიციული დღესასწაულის დღეს ჩვენ, საბჭოთა კავშირის რკინიგზელები, ვკისრულობთ ვალდებულებებს შინარეზერვების გამოყენებით, მატერიალური რესურსების ყოველმხრივი ეკონომიით და ხარისხობრივი მაჩვენებლების შემდგომი გაუმჯობესებით:

ვადამდე შევასრულოთ 1952 წლის დატვირთვის საერთო გეგმა, მათ შორის გეგმის გადამეტებით დავტვირთოთ 120 ათასი ვაგონი ქვანახშირი, 130 ათასი ცისტერნი ნავთის პროდუქტები, 50 ათასი ვაგონი შავი ლითონები, 10 ათასი ვაგონი მადანი, 30 ათასი ვაგონი მინერალურ-საშენი მასალები;

დავაჩქაროთ ვაგონის ბრუნვა მოცემულ ნორმასთან შედარებით 1 საათით;

გავადიდოთ ლოკომოტივის საშუალო სადღეღამისო გარბენა მოცემულ ნორმასთან შედარებით 5 კილომეტრით;

2,6 პროცენტის გადაჭარბებით შევასრულოთ შრომის ნაყოფიერების გეგმა;

შევამციროთ სათბობის ხარჯვა ნორმასთან შედარებით 2 პროცენტით;

შევამციროთ ტვირთზიდვის თვითღირებულება 2 პროცენტით;

უზრუნველვყოთ მგზავრთა მომსახურების შემდგომი გაუმჯობესება;

ვადამდე შევასრულოთ ტრანსპორტის სამრეწველო საწარმოთა წარმოების წლიური გეგმა;

ვადამდე შევასრულოთ კაპიტალური მშენებლობისა და უმნიშვნელოვანესი ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემის წლიური გეგმა და უზრუნველვყოთ სამშენებლო სამუშაოთა ღირებულების შემცირება;

ვადამდე შევასრულოთ ლიანდაგის რეკონსტრუქციის, კაპიტალური და საშუალო რემონტის წლიური გეგმა;

ვადამდე შევასრულოთ რკინიგზებზე ავტომატური მოწყობილობის — ავტობლოკირების, ავტოსტოპების, ისრების ელექტროცენტრალიზაციის დანერგვის გეგმა;

ვადამდე შევასრულოთ ყველა სამშენებლო, სარემონტო სამუშაო, დროზე და მაღალხარისხოვნად მოვამზადოთ რკინიგზის ტრანსპორტის საწარმოები და კადრები ზამთრის პირობებში სამუშაოდ.

* * *

რკინიგზების მუშაკები ვალდებულებას კისრულობენ:

ტომსკის გზაზე. ვადამდე შეასრულონ დატვირთვის წლიური გეგმა და გეგმის გადამეტებით დატვირთონ 5 ათასი ვაგონი ქვანახშირი, ნორმასთან შედარებით 6 საათით დააჩქარონ ვაგონის ბრუნვა, ნორმასთან შედარებით 5 კილომეტრით გაადიდონ ლოკომოტივის საშუალო სადღეღამისო გარბენა, 5 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულონ შრომის ნაყოფიერების გეგმა, გეგმასთან შედარებით შეამციროონ სათბობის ხარჯვა 2 პროცენტით, ელექტროენერგიისა 1,5 პროცენტით და ტვირთზიდვის თვითღირებულება 3 პროცენტით.

სვერდლოვსკის გზაზე. ვადამდე შეასრულონ დატვირთვის წლიური გეგმა და გეგმის გადამეტებით დატვირთონ 10 ათასი ვაგონი ქვანახშირი, 5 ათასი ვაგონი შავი ლითონები, 7 ათასი ვაგონი მადანი, ნორმასთან შედარებით 7,5 საათით დააჩქარონ ვაგონის ბრუნვა, ნორმასთან შედარებით 5 კილომეტრით გაადიდონ ლოკომოტივის საშუალო სადღეღამისო გარბენა, 1,1 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულონ შრომის ნაყოფიერების გეგმა, გეგმასთან შედარებით შეამციროონ სათბობის ხარჯვა 5 პროცენტით, საპოხისა 5 პროცენტით და ტვირთზიდვის თვითღირებულება 1 პროცენტით.

სამხრეთ ურალის გზაზე. ვადამდე შეასრულონ დატვირთვის წლიური გეგმა და გეგმის გადამეტებით დატვირთონ 3 ათასი ვაგონი ქვანახშირი, 5 ათასი ვაგონი შავი ლითონები, ნორმასთან შედარებით 5 საათით დააჩქარონ ვაგონის ბრუნვა, ნორმასთან შედარებით 5 კილომეტრით გაადიდონ ლოკომოტივის საშუალო სადღეღამისო გარბენა 3 კილომეტრით, ელმავლისა 4 კილომეტრით, 6 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულონ შრომის ნაყოფიერების გეგმა, გეგმასთან შედარებით შეამციროონ სათბობის ხარჯვა 5 პროცენტით, საპოხისა 3 პროცენტით და ტვირთზიდვის თვითღირებულება 4 პროცენტით.

პერმის გზაზე. ვადამდე შეასრულონ დატვირთვის წლიური გეგმა და გეგმის გადამეტებით დატვირთონ 2 ათასი ვაგონი ქვანახშირი, ნორმასთან შედარებით 3,6 საათით დააჩქარონ ვაგონის ბრუნვა, ნორმასთან შედარებით 5 კილომეტრით გაადიდონ ლოკომოტივის საშუალო სადღეღამისო გარბენა, 3 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულონ შრომის ნაყოფიერების გეგმა, გეგმასთან შედარებით შეამციროონ სათბობის ხარჯვა 5 პროცენტით, ელექტროენერგიისა 4 პროცენტით და ტვირთზიდვის თვითღირებულება 2 პროცენტით.

ყარაგანდის გზაზე. ვადამდე შეასრულონ დატვირთვის წლიური გეგმა და გეგმის გადამეტებით დატვირთონ 3 ათასი ვაგონი ქვანახშირი, ნორმასთან შედარებით 2 საათით დააჩქარონ ვაგონის ბრუნვა, ნორმასთან შედარებით 4 კილომეტრით გაადიდონ ლოკომოტივის საშუალო სადღეღამისო გარბენა, 3 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულონ შრომის ნაყოფიერების გეგმა, გეგმასთან შედარებით შეამციროონ სათბობის ხარჯვა 2 პროცენტით, საპოხისა 1 პროცენტით და ტვირთზიდვის თვითღირებულება 1,5 პროცენტით.

ომსკის გზაზე. ვადამდე შეასრულონ დატვირთვის წლიური გეგმა, ნორმასთან შედარებით 2 საათით დააჩქარონ ვაგონის ბრუნვა, ნორმასთან შედარებით 8 კილომეტრით გაადიდონ ლოკომოტივის საშუალო სადღეღამისო გარბენა, 3 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულონ შრომის ნაყოფიერების გეგმა, გეგმასთან შედარებით შეამციროონ სათბობის ხარჯვა 5 პროცენტით, ელექტროენერგიისა 4 პროცენტით და ტვირთზიდვის თვითღირებულება 2 პროცენტით.

ყაზანის გზაზე. ვადამდე შეასრულონ დატვირთვის წლიური გეგმა, ნორმასთან შედარებით 2 საათით დააჩქარონ ვაგონის ბრუნვა, ნორმასთან შედარებით 2 კილომეტრით გაადიდონ ლოკომოტივის საშუალო სადღეღამისო გარბენა, 4 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულონ შრომის ნაყოფიერების გეგმა, გეგმასთან შედარებით შეამციროონ სათბობის ხარჯვა 2 პროცენტით, საპოხისა 1 პროცენტით და ტვირთზიდვის თვითღირებულება 2 პროცენტით.

უფის გზაზე. ვადამდე შეასრულონ დატვირთვის წლიური გეგმა და გეგმის გადამეტებით დატვირთონ 5 ათასი ცისტერნი ნავთის პროდუქტები, ნორმასთან შედარებით 3,5 საათით დააჩქარონ ვაგონის ბრუნვა, ნორმასთან შედარებით 10 კილომეტრით გაადიდონ ლოკომოტივის საშუალო სადღეღამისო გარბენა, 6 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულონ შრომის ნაყოფიერების გეგმა, გეგმასთან შედარებით შეამციროონ სათბობის ხარჯვა 2 პროცენტით და ტვირთზიდვის თვითღირებულება 3,5 პროცენტით.

3. 3. კუიბიშევის სახელობის რკინიგზაზე. ვადამდე შეასრულონ დატვირთვის წლიური გეგმა და გეგმის გადამეტებით დატვირთონ 5 ათასი ცისტერნი ნავთის პროდუქტები, ნორმასთან შედარებით 10 საათით დააჩქარონ ვაგონის ბრუნვა, ნორმასთან შედარებით 8 კილომეტრით გაადიდონ ლოკომოტივის საშუალო სადღეღამისო გარბენა, 5 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულონ შრომის ნაყოფიერების გეგმა, გეგმასთან შედარებით შეამციროონ სათბობის ხარჯვა 4 პროცენტით, საპოხისა 3 პროცენტით და ტვირთზიდვის თვითღირებულება 2 პროცენტით.

ყაზანის გზაზე. ვადამდე შეასრულონ დატვირთვის წლიური გეგმა, ნორმასთან შედარებით 2 საათით დააჩქარონ ვაგონის ბრუნვა, ნორმასთან შედარებით 2 კილომეტრით გაადიდონ ლოკომოტივის საშუალო სადღეღამისო გარბენა, 4 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულონ შრომის ნაყოფიერების გეგმა, გეგმასთან შედარებით შეამციროონ სათბობის ხარჯვა 3 პროცენტით, საპოხისა 1 პროცენტით და ტვირთზიდვის თვითღირებულება 2 პროცენტით.

სამხრეთის გზაზე. ვადამდე შეასრულონ დატვირთვის წლიური გეგმა, ნორმასთან შედარებით 2,4 საათით დააჩქარონ ვაგონის ბრუნვა, ნორმასთან შედარებით 3 კილომეტრით გაადიდონ ლოკომოტივის საშუალო სადღეღამისო გარბენა, 5 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულონ შრომის ნაყოფიერების გეგმა და გეგმასთან შედარებით შეამციროონ სათბობის ხარჯვა 5 პროცენტით, საპოხისა 3 პროცენტით და ტვირთზიდვის თვითღირებულება 3 პროცენტით.

სტალინის გზაზე. ვადამდე შეასრულონ დატვირთვის წლიური გეგმა და გეგმის გადამეტებით დატვირთონ 25 ათასი ვაგონი შავი ლითონები, 4 ათასი ვაგონი პურეული, ნორმასთან შედარებით 1 საათით დააჩქარონ ვაგონის ბრუნვა, ნორმასთან შედარებით 5 კილომეტრით გაადიდონ ლოკომოტივის საშუალო სადღეღამისო გარბენა, 6 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულონ შრომის ნაყოფიერების გეგმა, გეგმასთან შედარებით შეამციროონ სათბობის ხარჯვა 5 პროცენტით, საპოხისა 3 პროცენტით და ტვირთზიდვის თვითღირებულება 2 პროცენტით.

სამხრეთი აღმოსავლეთ გზაზე. ვადამდე შეასრულონ დატვირთვის წლიური გეგმა, ნორმასთან შედარებით 6,5 საათით დააჩქარონ ვაგონის ბრუნვა, ნორმასთან შედარებით 3 კილომეტრით გაადიდონ ლოკომოტივის საშუალო სადღეღამისო გარბენა, 6 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულონ შრომის ნაყოფიერების გეგმა, გეგმასთან შედარებით შეამციროონ სათბობის ხარჯვა 5 პროცენტით და ტვირთზიდვის თვითღირებულება 5 პროცენტით.

სტალინგრადის გზაზე. ვადამდე შეასრულონ დატვირთვის წლიური გეგმა, ნორმასთან შედარებით 3 საათით დააჩქარონ ვაგონის ბრუნვა, ნორმასთან შედარებით 2 კილომეტრით გაადიდონ ლოკომოტივის საშუალო სადღეღამისო გარბენა, 6 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულონ შრომის ნაყოფიერების გეგმა, გეგმასთან შედარებით შეამციროონ სათბობის ხარჯვა 2 პროცენტით, საპოხისა 2 პროცენტით და ტვირთზიდვის თვითღირებულება 4 პროცენტით.

მოსკოვ-რიაზანის გზაზე. ვადამდე შეასრულონ დატვირთვის წლიური გეგმა და გეგმის გადამეტებით დატვირთონ 2 ათასი ცისტერნი ნავთის პროდუქტები, 700 ვაგონი პურეული, ნორმასთან შედარებით 2 საათით დააჩქარონ ვაგონის ბრუნვა, ნორმასთან შედარებით 5 კილომეტრით გაადიდონ ლოკომოტივის საშუალო სადღეღამისო გარბენა, 2 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულონ შრომის ნაყოფიერების გეგმა, გეგმასთან შედარებით შეამციროონ სათბობის ხარჯვა 3 პროცენტით და ტვირთზიდვის თვითღირებულება 1,5 პროცენტით.

მოსკოვ-კურსკის გზაზე. ვადამდე შეასრულონ დატვირთვის წლიური გეგმა,

საბჭოთა კავშირის რკინიგზელებისაგან ერთგულ საბჭოთა ხალხის დიდ ბელადსა და მასწავლებელ-ლიდერ ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სჯალინს

(დასასრული)

შეასრულონ შრომის ნაყოფიერების გეგმა, გეგმასთან შედარებით შეამცირონ სათბობის ხარჯვა 4 პროცენტით, ელექტროენერგიისა 7 პროცენტით, და ტვირთზიდვის თვითღირებულება 1 პროცენტით.

იაროსლავლის გზაზე. ვადამდე შეასრულონ დატვირთვის წლიური გეგმა და გეგმის გადამეტებით დატვირთონ 1.500 ვაგონი ხე-ტყე, ნორმასთან შედარებით 0,5 საათით დაიჭქარონ ვაგონის ბრუნვა, ნორმასთან შედარებით 3 კილომეტრით გაადიდონ ლოკომოტივის საშუალო სადღეღამისო გარბენა, 1,5 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულონ შრომის ნაყოფიერების გეგმა, გეგმასთან შედარებით შეამცირონ სათბობის ხარჯვა 3 პროცენტით, საპოხისა 5 პროცენტით და ტვირთზიდვის თვითღირებულება 1 პროცენტით.

ამერკავკასიის გზაზე. ვადამდე შეასრულონ დატვირთვის წლიური გეგმა, ნორმასთან შედარებით 2 საათით დაიჭქარონ ვაგონის ბრუნვა, ნორმასთან შედარებით 10 კილომეტრით გაადიდონ ლოკომოტივის საშუალო სადღეღამისო გარბენა, 2 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულონ შრომის ნაყოფიერების გეგმა, გეგმასთან შედარებით შეამცირონ სათბობის ხარჯვა 3 პროცენტით, ელექტროენერგიისა 4 პროცენტით და ტვირთზიდვის თვითღირებულება 2 პროცენტით.

აზერბაიჯანის გზაზე. ვადამდე შეასრულონ დატვირთვის წლიური გეგმა და გეგმის გადამეტებით დატვირთონ 5 ათასი ცისტერნი ნავთპროდუქტები, ნორმასთან შედარებით 1 საათით დაიჭქარონ ვაგონის ბრუნვა, ნორმასთან შედარებით 2 კილომეტრით გაადიდონ ლოკომოტივის საშუალო სადღეღამისო გარბენა, 4 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულონ შრომის ნაყოფიერების გეგმა, გეგმასთან შედარებით შეამცირონ სათბობის ხარჯვა 2,5 საათით და ტვირთზიდვის თვითღირებულება 2 პროცენტით.

ჩრდილოეთ კავკასიის გზაზე. ვადამდე შეასრულონ დატვირთვის წლიური გეგმა და გეგმის გადამეტებით დატვირთონ 3 ათასი ვაგონი ქვანახშირი, 15 ათასი ცისტერნი ნავთპროდუქტები, ნორმასთან შედარებით 4 საათით დაიჭქარონ ვაგონის ბრუნვა, ნორმასთან შედარებით 5 კილომეტრით გაადიდონ ლოკომოტივის საშუალო სადღეღამისო გარბენა, 4 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულონ შრომის ნაყოფიერების გეგმა, გეგმასთან შედარებით შეამცირონ სათბობის ხარჯვა 2,5 საათით და ტვირთზიდვის თვითღირებულება 2 პროცენტით.

ორჯონიკიძის გზაზე. ვადამდე შეასრულონ დატვირთვის წლიური გეგმა და გეგმის გადამეტებით დატვირთონ 15 ათასი ცისტერნი ნავთპროდუქტები, ნორმასთან შედარებით 2 საათით დაიჭქარონ ვაგონის ბრუნვა, ნორმასთან შედარებით 3 კილომეტრით გაადიდონ ორთქლმავლის საშუალო სადღეღამისო გარბენა, თბომავლისა—10 კილომეტრით, 5 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულონ შრომის ნაყოფიერების გეგმა, გეგმასთან შედარებით შეამცირონ ორთქლმავლის სათბობის ხარჯვა 3 პროცენტით, თბომავლის სათბობისა 0,5 პროცენტით, ორთქლმავლის საპოხისა 4 პროცენტით, თბომავლის საპოხისა 10 პროცენტით და ტვირთზიდვის თვითღირებულება — 5 პროცენტით.

კიროვის გზაზე. ვადამდე შეასრულონ დატვირთვის წლიური გეგმა, ნორმასთან შედარებით 0,2 საათით დაიჭქარონ ვაგონის ბრუნვა, ნორმასთან შედარებით 5 კილომეტრით გაადიდონ ლოკომოტივის საშუალო სადღეღამისო გარბენა. 10 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულონ შრომის ნაყოფიერების გეგმა, გეგმასთან შედარებით შეამცირონ სათბობის ხარჯვა 3 პროცენტით, საპოხისა 2,5 პროცენტით, ელექტროენერგიისა 1 პროცენტით და ტვირთზიდვის თვითღირებულება 5 პროცენტით.

ოქტომბრის გზაზე. ვადამდე შეასრულონ დატვირთვის წლიური გეგმა და გეგმის გადამეტებით დატვირთონ 10 ათასი ვაგონი მინერალურ-სამშენებლო ტვირთი, ნორმასთან შედარებით 0,5 საათით დაიჭქარონ ვაგონის ბრუნვა, ნორმასთან შედარებით 2 კილომეტრით გაადიდონ ლოკომოტივის საშუალო სადღეღამისო გარბენა, 5 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულონ შრომის ნაყოფიერების გეგმა, გეგმასთან შედარებით შეამცირონ სათბობის ხარჯვა 2,5 პროცენტით, საპოხისა 2 პროცენტით და ტვირთზიდვის თვითღირებულება 2 პროცენტით.

ორჯონიკიძის გზაზე. ვადამდე შეასრულონ დატვირთვის წლიური გეგმა, ნორმასთან შედარებით 2 საათით დაიჭქარონ ვაგონის ბრუნვა, ნორმასთან შედარებით 8 კილომეტრით გაადიდონ ლოკომოტივის საშუალო სადღეღამისო გარბენა, 7 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულონ შრომის ნაყოფიერების გეგმა, გეგმასთან შედარებით შეამცირონ სათბობის ხარჯვა 1 პროცენტით და ტვირთზიდვის თვითღირებულება 5 პროცენტით.

ჩრდილოეთის გზაზე. ვადამდე შეასრულონ დატვირთვის წლიური გეგმა, ნორმასთან შედარებით 1 საათით დაიჭქარონ ვაგონის ბრუნვა, ნორმასთან შედარებით 5 კილომეტრით გაადიდონ ლოკომოტივის საშუალო სადღეღამისო გარბენა, 3 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულონ შრომის ნაყოფიერების გეგმა, გეგმასთან შედარებით შეამცირონ სათბობის ხარჯვა 3,5 პროცენტით და ტვირთზიდვის თვითღირებულება 2,5 პროცენტით.

პეჩორის გზაზე. ვადამდე შეასრულონ დატვირთვის წლიური გეგმა და გეგმის გადამეტებით დატვირთონ 5 ათასი ვაგონი ქვანახშირი, ნორმასთან შედარებით 3 საათით დაიჭქარონ ვაგონის ბრუნვა, ნორმასთან შედარებით 5 კილომეტრით გაადიდონ ლოკომოტივის საშუალო სადღეღამისო გარბენა, 6 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულონ შრომის ნაყოფიერების გეგმა, გეგმასთან შედარებით შეამცირონ სათბობის ხარჯვა 3,5 პროცენტით, საპოხისა 3 პროცენტით და ტვირთზიდვის თვითღირებულება 4 პროცენტით.

სამხრეთ-დასავლეთის გზაზე. ვადამდე შეასრულონ დატვირთვის წლიური გეგმა, ნორმასთან შედარებით 2,5 საათით დაიჭქარონ ვაგონის ბრუნვა, ნორმასთან შედარებით 2 კილომეტრით გაადიდონ ლოკომოტივის საშუალო სადღეღამისო გარბენა, 3 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულონ შრომის ნაყოფიერების გეგმა, გეგმასთან შედარებით სათბობის ხარჯვა შეამცირონ 2 პროცენტით და ტვირთზიდვის თვითღირებულება 1,5 პროცენტით.

მინსკის გზაზე. ვადამდე შეასრულონ დატვირთვის წლიური გეგმა, ნორმასთან შედარებით 2,5 საათით დაიჭქარონ ვაგონის ბრუნვა, ნორმასთან შედარებით 5 კილომეტრით გაადიდონ ლოკომოტივის საშუალო სადღეღამისო გარბენა, 5 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულონ შრომის ნაყოფიერების გეგმა, გეგმასთან შედარებით შეამცირონ სათბობის ხარჯვა 2 პროცენტით და ტვირთზიდვის თვითღირებულება 4 პროცენტით.

ლატვიის გზაზე. ვადამდე შეასრულონ დატვირთვის წლიური გეგმა, ნორმასთან შედარებით 2 საათით დაიჭქარონ ვაგონის ბრუნვა, ნორმასთან შედარებით 5 კილომეტრით გაადიდონ ლოკომოტივის საშუალო სადღეღამისო გარბენა, 3 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულონ შრომის ნაყოფიერების გეგმა, გეგმასთან შედარებით შეამცირონ სათბობის ხარჯვა 3,5 პროცენტით და ტვირთზიდვის თვითღირებულება 2,5 პროცენტით.

ბელორუსიის გზაზე. ვადამდე შეასრულონ დატვირთვის წლიური გეგმა, ნორმასთან შედარებით 1 საათით დაიჭქარონ ვაგონის ბრუნვა, ნორმასთან შედარებით 2 კილომეტრით გაადიდონ ლოკომოტივის საშუალო სადღეღამისო გარბენა, 3 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულონ შრომის ნაყოფიერების გეგმა, გეგმასთან შედარებით შეამცირონ სათბობის ხარჯვა 4 პროცენტით და ტვირთზიდვის თვითღირებულება 3 პროცენტით.

ესტონეთის გზაზე. ვადამდე შეასრულონ დატვირთვის წლიური გეგმა, ნორმასთან შედარებით 2,5 საათით დაიჭქარონ ვაგონის ბრუნვა, ნორმასთან შედარებით 8 კილომეტრით გაადიდონ ლოკომოტივის საშუალო სადღეღამისო გარბენა, 7 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულონ შრომის ნაყოფიერების გეგმა, გეგმასთან შედარებით შეამცირონ სათბობის ხარჯვა 1 პროცენტით და ტვირთზიდვის თვითღირებულება 5 პროცენტით.

ჩრდილოეთის გზაზე. ვადამდე შეასრულონ დატვირთვის წლიური გეგმა, ნორმასთან შედარებით 1 საათით დაიჭქარონ ვაგონის ბრუნვა, ნორმასთან შედარებით 5 კილომეტრით გაადიდონ ლოკომოტივის საშუალო სადღეღამისო გარბენა, 5 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულონ შრომის ნაყოფიერების გეგმა, გეგმასთან შედარებით შეამცირონ სათბობის ხარჯვა 2 პროცენტით და ტვირთზიდვის თვითღირებულება 4 პროცენტით.

ლატვიის გზაზე. ვადამდე შეასრულონ დატვირთვის წლიური გეგმა, ნორმასთან შედარებით 2 საათით დაიჭქარონ ვაგონის ბრუნვა, ნორმასთან შედარებით 5 კილომეტრით გაადიდონ ლოკომოტივის საშუალო სადღეღამისო გარბენა, 2 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულონ შრომის ნაყოფიერების გეგმა, გეგმასთან შედარებით სათბობის ხარჯვა 3 პროცენტით და ტვირთზიდვის თვითღირებულება 3 პროცენტით.

დასავლეთის გზაზე. ვადამდე შეასრულონ დატვირთვის წლიური გეგმა, ნორმასთან შედარებით 1 საათით დაიჭქარონ ვაგონის ბრუნვა, ნორმასთან შედარებით 3 კილომეტრით გაადიდონ ლოკომოტივის საშუალო სადღეღამისო გარბენა, 5 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულონ შრომის ნაყოფიერების გეგმა, გეგმასთან შედარებით სათბობის ხარჯვა 2 პროცენტით და ტვირთზიდვის თვითღირებულება 3 პროცენტით.

ბელორუსიის გზაზე. ვადამდე შეასრულონ დატვირთვის წლიური გეგმა, ნორმასთან შედარებით 1 საათით დაიჭქარონ ვაგონის ბრუნვა, ნორმასთან შედარებით 2 კილომეტრით გაადიდონ ლოკომოტივის საშუალო სადღეღამისო გარბენა, 3 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულონ შრომის ნაყოფიერების გეგმა, გეგმასთან შედარებით სათბობის ხარჯვა შეამცირონ 2 პროცენტით და ტვირთზიდვის თვითღირებულება 1,5 პროცენტით.

მინსკის გზაზე. ვადამდე შეასრულონ დატვირთვის წლიური გეგმა, ნორმასთან შედარებით 2,5 საათით დაიჭქარონ ვაგონის ბრუნვა, ნორმასთან შედარებით 5 კილომეტრით გაადიდონ ლოკომოტივის საშუალო სადღეღამისო გარბენა, 5 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულონ შრომის ნაყოფიერების გეგმა, გეგმასთან შედარებით შეამცირონ სათბობის ხარჯვა 2 პროცენტით და ტვირთზიდვის თვითღირებულება 1,5 პროცენტით.

ლატვიის გზაზე. ვადამდე შეასრულონ დატვირთვის წლიური გეგმა, ნორმასთან შედარებით 2 საათით დაიჭქარონ ვაგონის ბრუნვა, ნორმასთან შედარებით 5 კილომეტრით გაადიდონ ლოკომოტივის საშუალო სადღეღამისო გარბენა, 1,5 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულონ შრომის ნაყოფიერების გეგმა, გეგმასთან შედარებით სათბობის ხარჯვა შეამცირონ 3 პროცენტით და ტვირთზიდვის თვითღირებულება 3 პროცენტით.

ტაშკენტის გზაზე. ვადამდე შეასრულონ დატვირთვის წლიური გეგმა და გეგმის გადამეტებით დატვირთონ 6 ათასი ვაგონი ქვანახშირი, ნორმასთან შედარებით 6 საათით დაიჭქარონ ვაგონის ბრუნვა, ნორმასთან შედარებით 2 კილომეტრით გაადიდონ ლოკომოტივის საშუალო სადღეღამისო გარბენა, 3 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულონ შრომის ნაყოფიერების გეგმა, გეგმასთან შედარებით სათბობის ხარჯვა შეამცირონ 3 პროცენტით და ტვირთზიდვის თვითღირებულება 3 პროცენტით.

აშხაბადის გზაზე. ვადამდე შეასრულონ დატვირთვის წლიური გეგმა და გეგმის გადამეტებით დატვირთონ 7 ათასი ცისტერნი ნავთპროდუქტები, ნორმასთან შედარებით 1 საათით დაიჭქარონ ვაგონის ბრუნვა, ნორმასთან შედარებით 2 კილომეტრით გაადიდონ ლოკომოტივის საშუალო სადღეღამისო გარბენა, 4 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულონ შრომის ნაყოფიერების გეგმა, გეგმასთან შედარებით ორთქლმავლების სათბობის ხარჯვა შეამცირონ 3 პროცენტით, თბომავლისა—0,5 პროცენტით და ტვირთზიდვის თვითღირებულება — 2 პროცენტით.

თურქესტან-ციმბირის გზაზე. ვადამდე შეასრულონ დატვირთვის წლიური გეგმა, ნორმასთან შედარებით 3,5 საათით დაიჭქარონ ვაგონის ბრუნვა, ნორმასთან შედარებით 5 კილომეტრით გაადიდონ ლოკომოტივის საშუალო სადღეღამისო გარბენა, 5 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულონ შრომის ნაყოფიერების გეგმა, გეგმასთან შედარებით სათბობის ხარჯვა 1,5 პროცენტით და ტვირთზიდვის თვითღირებულება 1,5 პროცენტით.

ლვოვის გზაზე. ვადამდე შეასრულონ დატვირთვის წლიური გეგმა, ნორმასთან შედარებით 1 საათით დაიჭქარონ ვაგონის ბრუნვა, ნორმასთან შედარებით 5 კილომეტრით გაადიდონ ლოკომოტივის საშუალო სადღეღამისო გარბენა. 10 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულონ შრომის ნაყოფიერების გეგმა, გეგმასთან შედარებით შეამცირონ სათბობის ხარჯვა 3 პროცენტით, საპოხისა 2,5 პროცენტით, ელექტროენერგიისა 1 პროცენტით და ტვირთზიდვის თვითღირებულება 5 პროცენტით.

ოქტომბრის გზაზე. ვადამდე შეასრულონ დატვირთვის წლიური გეგმა და გეგმის გადამეტებით დატვირთონ 10 ათასი ვაგონი ხე-ტყე, 10 ათასი ვაგონი მინერალურ-სამშენებლო ტვირთი, ნორმასთან შედარებით 0,5 საათით დაიჭქარონ ვაგონის ბრუნვა, ნორმასთან შედარებით 2 კილომეტრით გაადიდონ ლოკომოტივის საშუალო სადღეღამისო გარბენა, 5 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულონ შრომის ნაყოფიერების გეგმა, გეგმასთან შედარებით შეამცირონ სათბობის ხარჯვა 2,5 პროცენტით, საპოხისა 2 პროცენტით და ტვირთზიდვის თვითღირებულება 1 პროცენტით.

ამურის გზაზე. ვადამდე შეასრულონ დატვირთვის წლიური გეგმა, ნორმასთან შედარებით 1 საათით დაიჭქარონ ვაგონის ბრუნვა, ნორმასთან შედარებით 3 კილომეტრით გაადიდონ ლოკომოტივის საშუალო სადღეღამისო გარბენა, 2 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულონ შრომის ნაყოფიერების გეგმა, გეგმასთან შედარებით შეამცირონ სათბობის ხარჯვა 2 პროცენტით, საპოხისა 2 პროცენტით და ტვირთზიდვის თვითღირებულება 1 პროცენტით.

შორეული აღმოსავლეთის გზაზე. ვადამდე შეასრულონ დატვირთვის წლიური გეგმა და გეგმის გადამეტებით დატვირთონ 2 ათასი ვაგონი ხე-ტყის მასალა, ნორმასთან შედარებით 1 საათით დაიჭქარონ ვაგონის ბრუნვა, ნორმასთან შედარებით 2 კილომეტრით გაადიდონ ლოკომოტივის საშუალო სადღეღამისო გარბენა, 2 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულონ შრომის ნაყოფიერების გეგმა, გეგმასთან შედარებით შეამცირონ სათბობის ხარჯვა 1 პროცენტით, საპოხისა 2 პროცენტით და ტვირთზიდვის თვითღირებულება 2 პროცენტით.

ამურის გზაზე. ვადამდე შეასრულონ დატვირთვის წლიური გეგმა, ნორმასთან შედარებით 1 საათით დაიჭქარონ ვაგონის ბრუნვა, ნორმასთან შედარებით 5 კილომეტრით გაადიდონ ლოკომოტივის საშუალო სადღეღამისო გარბენა, 2 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულონ შრომის ნაყოფიერების გეგმა, გეგმასთან შედარებით შეამცირონ სათბობის ხარჯვა 1 საათით, საპოხისა 2 პროცენტით და ტვირთზიდვის თვითღირებულება 1 პროცენტით.

საშენ მასალათა საწარმოებში. 4 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულონ საერთო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა, აქედან აგურისა—2 პროცენტით, კირისა—5 პროცენტით, ცეცხლგამძლე ნაკეთობათა—4 პროცენტით, კერამიკული ფილებისა — 5 პროცენტით, კერამიკული მილებისა—10 პროცენტით. დაზოგონ გეგმასთან შედარებით სათბობი 1 პროცენტით, გაადიდონ შრომის ნაყოფიერება 5 პროცენტით და უზრუნველყონ პროდუქციის თვითღირებულების შემცირება.

სატყეო მრეწველობის საწარმოებში. 2 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულონ დახერხილი ხე-ტყის მასალის გამომუშავების წლიური გეგმა, 10 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულონ საბინაო ფონდის საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა, წლიურ გეგმასთან შედარებით გაადიდონ შრომის ნაყოფიერება 1 პროცენტით და გეგმასთან შედარებით შეამცირონ დახერხილი ხე-ტყის მასალის თვითღირებულება 0,5 პროცენტით.

* * *

გზათა სამინისტროს სამშენებლო ორგანიზაციების მუშაკები კისრულობენ:

დასავლეთის რკინიგზის მშენებლობაზე. 21 დეკემბრისათვის შეასრულონ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წლიური გეგმა, პირველ რიგში იმ ობიექტებზე, რომლებიც დაკავშირებულია რკინიგზების გამტარუნარიანობის გადიდებასთან და ამ ვადისათვის შეასრულონ 126,4 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა, აქედან 7 ნოემბრისათვის საექსპლოატაციოდ გადასცენ 391 ინდივიდუალური სახლი მემანქანეებისათვის, 20 დეკემბრისათვის ააშენონ და საექსპლოატაციოდ გადასცენ 65 ვაგზალი და 38 სახლი ლოკომოტივისა და მატარებლის ბრიგადებისათვის, უზრუნველყონ მშენებლობის მაღალი ხარისხი. კვირეულ-სადღეღამისო დაგეგმვაზე გადაიყვანონ ყველა მშენებლობათა სულ მცირე 62 პროცენტი, გეგმასთან შედარებით 2 პროცენტით გაადიდონ სამუშაოთა მექანიზაციის დონე, გადაჭარბებით შეასრულონ მშენებელთა კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების გეგმა, წლიურ გეგმასთან შედარებით 2 პროცენტით გაადიდონ შრომის ნაყოფიერება და უზრუნველყონ მშენებლობის ღირებულების შემცირება.

აღმოსავლეთის რკინიგზის მშენებლობაზე. 21 დეკემბრისათვის შეასრულონ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წლიური გეგმა და იმ ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა, რომლებიც დაკავშირებულია გზების გამტარუნარიანობის გადიდებასთან, ლოკომოტივისა და მატარებლის ბრიგადების შრომის პირობების გაუმჯობესებასთან, უზრუნველყონ მშენებლობის მაღალი ხარისხი, 20 დეკემბრისათვის ააშენონ და საექსპლოატაციოდ გადასცენ 65 ვაგზალი და 175 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, გეგმასთან შედარებით 1 პროცენტით გაადიდონ შრომის ნაყოფიერება.

* * *

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

თქვენი მამობრივი ყურადღება ჩვენდამი, რკინიგზელებისადმი, აღგვაფრთოვანებს ახალი შრომითი გმირობისათვის კომუნიზმის მშენებლობის გასამარჯვებლად. მთელ ენერგიას, ცოდნასა და უნარს მოვახმართ იმას, რომ პირნათლად შევასრულოთ ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი და ღირსი ვიყოთ თქვენი დიდი ზრუნვისა.

ჩვენ გვახსოვს თქვენი მითითება რკინიგზის ტრანსპორტის გადამწყვეტი და ყოვლისმომცველი როლის შესახებ და ყოველდღიურად განვამტკიცებთ დისციპლინასა და ერთმმართველობას, ვიბრძოლებთ ტრანსპორტის ყველა ნაწილის შეთანხმებული და ზუსტად გარკვეული წესრიგით მუშაობისათვის.

ჩვენ ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა მთლიანად გამოვიყენოთ ტრანსპორტის მდიდარი ტექნიკა, წარმოების რეზერვები, ჩინებულად მოვამზადოთ რკინიგზების მეურნეობა და კადრები 1952-1953 წლების ზამთარში შეუფერხებელი მუშაობისათვის. პირობას გაძლევთ უფრო ფართოდ გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება, გულმოდგინედ დავნერგოთ რკინიგზების მუშაობის პრაქტიკაში ყოველივე ახალი, მოწინავე, პროგრესული. ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებით ჩვენს წვლილს შევიტანთ ჩვენი ქვეყნის კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში.

გისურვებთ, მშობლიურო და საყვარელო იოსებ ბესარიონის-ძევ, ჯანმრთელობასა და მრავალ წელს სიცოცხლეს საბჭოთა ადამიანების სასიხარულოდ და საბედნიეროდ, მთელი მოწინავე და პროგრესული კაცობრიობის სასიხარულოდ და საბედნიეროდ!

გაუმარჯოს ჩვენს მძლავრ სოციალისტურ სამშობლოს!

გაუმარჯოს ბოლშევიკების გმირ პარტიას — საბჭოთა ხალხის ყველა გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

გაუმარჯოს ჩვენს ბრძენ საბჭოთა მთავრობას!

დიდება დიდ ბელადსა და მასწავლებელს, მშობლიურ და საყვარელ ამხანაგ სტალინს!

წარმოდგენილი განხილულია და მიღებულია რკინიგზის ტრანსპორტის გზების, განყოფილებების, სადგურების, ლოკომოტივისა და სავაგონო დეპოების, ლიანდაგისა და კავშირგაბმულობის უბნების, ქარხნების მშენებლობების და სხვა საწარმოთა და დაწესებულებათა მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების კრებებზე.

პარტიის ისტორიის შემსწავლელთა დასახმარებლად

ბოლშევიკების პარტიის XII კონფერენცია

○

30 წლისთავის გამო

○

სამოქალაქო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვებისა და მშვიდობიან სამეურნეო მშენებლობაზე გადასვლის შემდეგ ჩვენი პარტიის წინაშე მკვეთრად წამოიჭრა ახალი სამეურნეო ამოცანები.

ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ ბოლშევიკების პარტიას მოკლე ისტორიულ პერიოდში აღედგინა ომით დანგრეული მრეწველობა, ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა, საფუძველი შეექმნა მუშებსა და გლეხებს შორის საკავშირო-სამეურნეო კავშირისათვის, ყოველმხრივ მოემზადებინა ნიადაგი ჩვენი ქვეყნის სოციალისტური გარდაქმნისათვის. ამ ამოცანების გადასაწყვეტად პარტია 1921 წლიდან შეუდგა ახალი ეკონომიური პოლიტიკის განხორციელებას. პარტიის პირველი ნაბიჯები სამეურნეო დარგში წარმატებებით აღინიშნა, რამაც კაპიტალისტური ქვეყნების გაოფთრება გამოიწვია. 1922 წლის აპრილ-მაისში კაპიტალისტური ქვეყნების რეაქციულმა წრეებმა საერთაშორისო ეკონომიური კონფერენცია მოიწვიეს ქალაქ გენუაში, ხოლო ივნის-ივლისში—ჰაგაში. ეს კონფერენციები წარმოადგენდა ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ შეთქმულებას. კაპიტალისტური ქვეყნების დელეგატებმა საბჭოთა ქვეყანას ომამდელი ვალის გადახდის, უცხოელი იმპერიალისტი მფლობელებისათვის საბჭოთა ხელისუფლების მიერ ჩამორთმეული, ნაციონალიზებული საკუთრების უკან დაბრუნებისა და სამხედრო ვალების დაფარვის მოთხოვნები წაუყენეს. საბჭოთა მთავრობამ მტკიცედ უარყო უცხოელი კაპიტალისტების მიერ ჩვენი ქვეყნის დამონების ეს პრეტენზიები.

ამ პერიოდში — 1921 წლის 12 ნოემბრიდან 1922 წლის 6 თებერვლამდე ვაშინგტონში ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით მიმდინარეობდა კონფერენცია, რომელზეც იმპერიალისტური სახელმწიფოების წარმომადგენლები ილაშქრებდნენ გამარჯვებული საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ. კონფერენციაში მონაწილეობდა ყველა ძირითადი კაპიტალისტური ქვეყანა. ამ კონფერენციის მიზანი იყო იმპერიალისტური ომის შემდეგ მსოფლიოს ხელახალი განაწილება. ვაშინგტონის კონფერენციის გადაწყვეტილებანი მიმართული იყო საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ, გულისხმობდა შორეული აღმოსავლეთის დაპყრობას.

ასეთ რთულ საშინაო და საგარეო პოლიტიკურ ვითარებაში გაიხსნა ბოლშევიკური პარტიის XII კონფერენცია 1922 წლის 4 აგვისტოს. სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ეს იყო პირველი პარტიული კონფერენცია, რომელსაც დიდი ლენინი ვერ ესწრებოდა ავადმყოფობის გამო.

პარტიის XII კონფერენციის მომზადებას და მსვლელობას ხელმძღვანელობდა ამხანაგი სტალინი. კონფერენციამ შეაფასა ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღების შემდეგ შექმნილი ახალი ვითარება და დარაზმა პარტია და მუშათა კლასი ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტიებისა და მიმდინარეობათა წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლისათვის, მოიწონა პარტიის ხაზი საგარეო პოლიტიკის დარგში.

კონფერენციის მუშაობას საფუძვლად დაედო ლენინის მითითებანი, ლენინისა და სტალინის მოძღვრება ახალი ეკონომიური პოლიტიკის შესახებ, რაც ბოლშევიკური პარტიის საბრძოლო პროგრამას წარმოადგენდა და ჩვენი ქვეყანა მიჰყავდა სოციალისტური მშენებლობის გამარჯვებისაკენ. კონფერენციამ, რომელმაც გაითვალისწინა ვაშინგტონის, გენუისა და ჰაგის კონფერენციებზე მიღებული იმპერიალისტური გადაწყვეტილებანი, მოუწოდა პარტიასა და მშრომელებს დარაზმულიყვნენ ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და სოციალისტური გარდაქმნისათვის, საბჭოთა სახელმწიფოს სამეურნეო და თავდაცვითი ძლიერების განსამტკიცებლად.

კონფერენციის მიერ დასახული ღონისძიებები წარმატებით განხორციელდა. ბოლშევიკების პარტიამ, შეიარაღებულმა ქვეყნის სოციალისტური გარდაქმნის გენიალური პროგრამით, წაიყვანა საბჭოთა ხალხი გამარჯვებისაკენ, სწრაფი ტემპით განავითარა მრეწველობა, სოფლის მეურნეობა და ეკონომიურად განამტკიცა ჩვენი ქვეყანა.

ამან საშუალება მოგვცა არაერთხელ ჩაგვეშალა იმპერიალისტთა ვარაუდი სსრ კავშირის დაპყრობისა, ხოლო დიდი სამამულო ომის დროს სასტიკად დაგვემარცხებინა ისეთი ძლიერი მოწინააღმდეგე, როგორიც იყო ჰიტლერული გერმანია. მაგრამ მსოფლიოს ხელახალი განაწილებისა და მაქსიმალური მოგების წყურვილით დაბრმავებული კაპიტალისტური სახელმწიფოები მალე ივიწყებენ ისტორიის გაკვეთილებს. ახლა კაპიტალისტური ბანაკი ამერიკა-ინგლისის რეაქციული წრეების მეთაურობით გამალებულ შეიარაღებას აწარმოებს მესამე მსოფლიო ომის გასაჩაღებლად. ისინი ივიწყებენ რომ პირველ და მეორე მსოფლიო ომში კაპიტალისტურ სისტემას გამოაკლდა ბევრი სახელმწიფო, რამაც ის თანდათან დაასუსტა, ხოლო თუ მესამე მსოფლიო ომს გააჩაღებენ, ამით კაპიტალისტური სახელმწიფოები თავიანთ აღსასრულს მოაახლოებენ.

* * *

ბოლშევიკური პარტიის XII კონფერენციამ მოისმინა ლენინისა და სტალინის თანამებრძოლის ვ. კუიბიშევის მოხსენება კოოპერაციაში პარტიული მუშაობის შესახებ. მოხსენება და კონფერენციის გადაწყვეტილებანი აგებული იყო იმ ამოცანების შესაბამისად, რომლებიც ამ პერიოდში ბრძოლის ძირითად რგოლს წარმოადგენდა. ბოლშევიკური პარტიის სამეურნეო ამოცანა იყო ახალი ეკონომიური პოლიტიკის განხორციელებისას წამოჭრილი საკითხი „ვინ-ვის?“ მოკლე პერიოდში გადაწყვიტა სოციალიზმის სასარგებლოდ. ამისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მეურნეობის კოოპერაციული გზით განვითარებას. სამომხმარებლო, საკრედიტო, საწარმოო და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაში მოსახლეობის გაერთიანება და მის მუშაობაში ხალხის აქტიური მონაწილეობა ყოველმხრივ მოამზადებდა ნიადაგს მეურნეობის კოლექტიური ფორმის განსავითარებლად სოფლად, მრეწველობის შემდგომი აღმავლობისათვის ქალაქად.

„რაკი სახელმწიფო ძალაუფლება მუშათა კლასის ხელშია,—წერდა ვ. ი. ლენინი, — რაკი ამ სახელმწიფო ხელისუფლებას ეკუთვნის წარმოების ყველა საშუალება, ჩვენ, მართლაც, ამოცანად მხოლოდ მოსახლეობის კოოპერირება დაგვრჩენია“ (თხზ., ტ. 33, გვ. 427).

XII კონფერენციამ, რომელიც ლენინის აღნიშნული მითითებებით ხელმძღვანელობდა, დასახა კოოპერაციის ქსელის გაფართოებისა და ამ დარგში პარტიული მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებანი. ეყრდნობოდა რა ლენინის კოოპერაციულ გეგმას, ამხანაგმა სტალინმა ყოველმხრივ დაამუშავა სოფლად სოციალისტური მეურნეობის საკოლმეურნეო ფორმის საკითხი.

ლენინ-სტალინის მოძღვრებით შეიარაღებულმა ბოლშევიკების პარტიამ სოციალიზმის გზით წაიყვანა როგორც მუშათა კლასი, ისე მშრომელი გლეხობა და უზრუნველყო პირობების მომზადება ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმზე თანდათანობით გადასვლისათვის. საბჭოთა ხალხი ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით ბრწყინვალედ ახორციელებს ბუნების გარდაქმნის სტალინურ პროგრამას. უცხოეთის სამხედრო ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის შემდეგ მშვიდობიან სამეურნეო მშენებლობაზე გადასვლის პირველსავე წლებში ვ. ი. ლენინმა გენიალურად განსაზღვრა, რომ „თუ რუსეთი დაიფარება ელექტროსადგურებისა და მძლავრი ტექნიკური მოწყობილობის ხშირი ქსელით, მაშინ ჩვენი კომუნისტური სამეურნეო მშენებლობა გადაიქცევა მომავალი სოციალისტური ევროპისა და აზიის ნიმუშად“ (თხზ., ტ. 31, გვ. 486). ჩვენი სოციალისტური სამშობლო მართლაც საუკეთესო გზას უჩვენებს ევროპისა და აზიის სახალხო-დემოკრატიულ სახელმწიფოებს კომუნისტური საზოგადოების აგებისათვის.

* * *

სსრ კავშირში სოციალიზმის მშენებლობის საქმეს, როგორც ცნობილია, ხელს უშლიდნენ სხვადასხვა ანტიპარტიული ჯგუფები, ოპოზიციონერები, ხალხის ყველა ჯიერის მტრები. ბოლშევიკების პარტიის მდიდარი ისტორია გვასწავლის, რომ მისი ორგანიზაციული პრინციპების განვითარება მუდამ იწვევდა ყოველგვარი ოპოზიციის გაოფთრებას. „მემარცხენე“ კომუნისტები“, „მუშათა ოპოზიცია“, „დეცისტების“ ჯგუფი, ტროცკისტები, ზინოვიეველები და მემარჯვენე ოპორტუნისტები ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლის დროს ათასგვარ შეთითხნილ ბრალდებას უყენებდნენ პარტიას და მოითხოვდნენ ფრაქციებისა და დაჯგუფებათა თავისუფლებას. ხალხის მოსისხლე მტრებს ფრაქციებისა და დაჯგუფებათა თავისუფლება იმისათვის სჭირდებოდათ, რომ შიგნიდან აეფეთქებინათ პარტია, ხელი შეეშალათ ძლევამოსილი სოციალისტური მშენებლობისათვის. XII კონფერენციაზე ტროცკისტები და ზინოვიეველები მოითხოვდნენ პარტიის წევრობის საკანდიდატო სტაჟის შემცირებას და ამით ცდილობდნენ პარტიის დანაგვიანებას უცხო ელემენტებით.

საკავშირო კ. პ. (ბ) წესდების საკითხზე მოხსენებით გამოვიდა ამხ. ვ. მ. მოლოტოვი. მოლოტოვისათვის გაგზავნილ წერილში ვ. ი. ლენინი აყენებდა ჩვენი პარტიის სოციალური შემადგენლობის გაუმჯობესების ამოცანას, მასში პროლეტარული ბირთვის გადიდების საჭიროებას. ლენინის ამ მითითებანის მიხედვით კონფერენციამ ბრძოლა გამოუცხადა ოპოზიციის მავნე შეხედულებებს. კონფერენციამ ყურადღება გაამახვილა ლენინის ცნობილ დებულებაზე პარტიის წევრობის შესახებ და ხაზი გაუსვა ბოლშევიკების პარტიის ორგანიზებულობის გაუმჯობესების, ოპორტუნისტული ელემენტებისაგან მისი გაწმენდის აუცილებლობას. იცავდა რა ლენინის მითითებებს და პარტიის XI ყრილობის გადაწყვეტილებას „პარტიის განმტკიცებისა და ახალი ამოცანების შესახებ“, კონფერენციამ მიიღო საკავშირო კ. პ. (ბ) ახალი წესდება, რომლითაც განისაზღვრა საკავშირო კ. პ. (ბ) წევრობის საკანდიდატო სტაჟი და პარტიას მიეცა გზა ბოლშევიკურ ორგანიზაციაში სამრეწველო მუშების რიცხვის ზრდის, პარტიის ხარისხობრივი განმტკიცების შესახებ.

კონფერენციამ განიხილა პროფკავშირების საკითხი, დაგმო ტროცკისა და ბუხარინის ანტიპარტიული თვალსაზრისი „პროფკავშირების გასახელმწიფოებრივების“, „შენჯღრევის“, „საწარმოო აღზრდის“, „შეხორცების“ შესახებ, პროფკავშირისადმი პარტიის ხელმძღვანელი როლის უარყოფის ოპორტუნისტული იდეა და პროფკავშირები აღიარა კომუნიზმის სკოლად, დასახა ლონისძიებანი პროფკავშირების მუშაობის გასაუმჯობესებლად და პროფორგანიზაციებისადმი ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობის განსამტკიცებლად.

გაანადგურა რა ანტისაბჭოთა პარტიები, ყოველგვარი ანტიპარტიული დაჯგუფებანი და მიმდინარეობანი, ბოლშევიკური პარტია ლენინის დროშით, დიდი სტალინის ხელმძღვანელობით კიდევ უფრო შემჭიდროებული და განმტკიცებული გამოვიდა ბოლშევიზმის მტრების წინააღმდეგ ბრძოლიდან და მტკიცედ მიუძღვის საბჭოთა ხალხს კომუნისტური საზოგადოების ასაშენებლად, საუკეთესო მომავლის დასამკვიდრებლად. ჩვენი პარტია გადამწყვეტ ბრძოლას აწარმოებს ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის ნაშთების აღმოსაფხვრელად, სოციალისტური საკუთრების დასაცავად, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობის დასაცავად და დანაშაულებრივი ომის აღსაკვეთად.

XII პარტიული კონფერენციის ისტორიული მნიშვნელობა აგრეთვე ის არის, რომ იგი, ბოლშევიკური პარტიის ყველა ყრილობისა და კონფერენციის გადაწყვეტილებებთან ერთად, ასწავლის სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს, როგორ უნდა სოციალიზმის მტრების გამოცნობა და მათ წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლა, როგორ შეიძლება გაბედული წინსვლა ძველის, დრომოჭმულის დასაძლევად, ახალი საზოგადოების ასაშენებლად.

ი. ყაჭიური,
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

ᲚᲔᲡᲘᲐ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲙᲐᲡ ᲫᲔᲒᲚᲘᲡ, ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲘᲡ ᲓᲐ ᲞᲝᲔᲢᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲜᲐ ᲡᲣᲠᲐᲛᲨᲘ

კვირას, 3 აგვისტოს, საქართველოს მშრომელებმა საზეიმო ვითარებაში აღნიშნეს მოძმე უკრაინელი ხალხის შვილის, უკრაინული ლიტერატურის კლასიკოსის ლესია უკრაინკას ძეგლის, ბიბლიოთეკის და პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი გამოფენის გახსნა.

ლესია უკრაინკას ძეგლი სურამში.

დილიდანვე განსაკუთრებული გამოცოცხლება დაეტყო ისედაც ხალხმრავალი დაბა სურამის ქუჩებსა და ფერდობებს. აქ, დაბა სურამში, სიცოცხლის უკანასკნელი წლები გაატარა ლესია უკრაინკამ. აქ, სურამში, შექმნა მან მრავალი მაღალმხატვრული, რევოლუციური სულისკვეთებით გამსჭვალული ნაწარმოები. აქვე შეწყდა დიდი კლასიკოსის მაჯისცემა.

ქართველმა ხალხმა ღრმად შთაიბეჭდა გულში მოძმე უკრაინელი ხალხის შვილის ნათელი ხსოვნა. ნიჭიერი უკრაინელი პოეტისადმი ქართველი ხალხის სიყვარულმა სრულყოფილ ება ჰპოვა საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით პოეტის ხსოვნის უკვდავსაყოფად სურამში აგებულ იქნა ძეგლი, მოეწყო ლესია უკრაინკას ბიბლიოთეკა და პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი გამოფენა.

ხალხთა სტალინური მეგობრობის სულისკვეთებით აღზრდილი საქართველოს მშრომელები კვირას უდიდესი სიხარულით მიისწრაფოდნენ ლესია უკრაინკას ძეგლისაკენ. მათ იცოდნენ, რომ ამ საზეიმო დღეს აქ ისინი შეხვდებოდნენ მოძმე რუსეთის, უკრაინის, სომხეთის, აზერბაიჯანის ხალხთა წარმომადგენლებს — ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებს.

მიტინგის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე ძეგლისა და ბიბლიოთეკის მიდამები ხალხით იყო მოფენილი. აქ ნახავდით თბილისის, ქუთაისის, გორის, ხაშურის, ბორჯომის, ორჯონიკიძის, ქარელისა და რესპუბლიკის მრავალი სხვა ქალაქისა და რაიონის წარმომადგენლებს. ხალხს ბევრგან გაემართა ცეკვა-თამაში, ისმოდა სიმღერები.

დღის 2 საათზე მრავალმა ათასმა კაცმა მოიყარა თავი ტრიბუნასა და ლესია უკრაინკას ძეგლის წინ. ტრიბუნაზე არიან საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ვ. მელქაძე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისისა და ქუთაისის საოლქო კომიტეტების მდივნები ამხ. გ. ფოფხაძე და რ. წულუკიძე, საქართველოს კ. პ. (ბ) ც.კ-ის ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების გამგე ამხ. ვ. ჭიაურელი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ხ. ტატიაშვილი, საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარე, პოეტი გ. ლეონიძე, საქართველოს კ. პ. (ბ) ხაშურის რაიკომის მდივანი ამხ. დ. ჩრდილელი, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის წარმომადგენელი, სტალინური პრემიის ლაურეატი ო. მალცევი, უკრაინის საბჭოთა მწერლების კავშირის დელეგაცია ი. ზბანაცკის მეთაურობით, ლენინგრადელი მწერალი ა. ჩივილიხინი, აზერბაიჯანის საბჭოთა მწერლების კავშირის წარმომადგენლები სტალინური პრემიის ლაურეატები მ. იბრაგიმოვი, ს. რუსტამი, პროფესორი მ. რაფილი, სომეხი მწერლები ნ. ზარიანი, ჰ. მკრტჩიანი და ვ. მნაცაკანიანი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ი. დოლიძე, კინემატოგრაფიის მინისტრი ამხ. ო. ეგაძე, საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის პასუხისმგებელი მდივანი ამხ. ს. ჭილაია, საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. გ. დედაბრიშვილი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი პროფესორი ა. შანიძე, პროფესორები: ა. ბარამიძე, შ. რადიანი, მოქანდაკე თ. აბაკელია, მწერლები ი. აბაშიძე, დ. სულიაშვილი, კ. კალაძე, ს. ეული, კრიტიკოსი ბ. ჟღენტი და სხვ.

მიტინგის გახსნის წინ ლესია უკრაინკას ძეგლი სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კოლექტივისაგან შემკობილ იქნა დაფნის გვირგვინით, რომელსაც აქვს წარწერა: „უკრაინელი ხალხის ღირსეულ შვილს, თავისუფლების მომღერალ ლესია უკრაინკას!“

მიტინგი მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კ. პ. (ბ) ხაშურის რაიკომის მდივანმა ამხ. დ. ჩრდილელმა.

ლ. უკრაინკას ძეგლის, ბიბლიოთეკის, პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი გამოფენის გახსნასთან დაკავშირებით სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ვ. ხატიაშვილმა.

— ლესია უკრაინკას სახელი, — ამბობს იგი, — დიდი პოპულარობით და სიყვარულით სარგებლობს საქართველოში. ლ. უკრაინკას ცხოვრებისა და შემოქმედების გარკვეული ნაწილი დაკავშირებულია საქართველოსთან, ქართველ ხალხთან, ქართულ კულტურასთან. მას უყვარდა უკრაინის ბედში მყოფი საქართველო, მისი ხალხი. „რა საინტერესო, რა საუცხოო მხარეა საქართველო, — ამობდა ლ. უკრაინკა, — რა სიმამაცე და გმირობა უნდა ჰქონოდა ერთ მუჭა ხალხს, რომ გადარჩენოდა ამდენ საშინელ ქარტეხილსა და უბედურებას“.

— ლესია უკრაინკას ხსოვნის უკვდავყოფის მიზნით, — ამბობს ამხ. ხატიაშვილი, — მისდამი ქართველი ხალხის ღრმა პატივისცემის ნიშნად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით დღეს საზეიმო ვითარებაში ვხსნით პოეტის ძეგლს, ბიბლიოთეკას და მისი ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილ გამოფენას.

მიტინგის მონაწილეთა გულისყური მიპყრობილია ლესია უკრაინკას ბრინჯაოს ძეგლისაკენ, ...იხსნება საბურველი... გაისმის ტაშის გრიალი. ხაშურის, ბორჯომის, ორჯონიკიძის კულტურის სახლებისა და თბილისის ცენტრალური კულტურის სახლის მომღერალთა გუნდები ასრულებენ „სიმღერას ლესია უკრაინკაზე“.

მოსკოველ მწერალთა სახელით მგრძნობიარე სიტყვას ამბობს სტალინური პრემიის ლაურეატი ო. მალცევი.

— ლესია უკრაინკა უკრაინაში, ისევე როგორც მაქსიმ გორკი რუსეთში, პირველი მწერალი იყო, რომელმაც გაბედულად უმღერა პროლეტარიატის ბრძოლას თავისუფლებისათვის, უმღერა წითელ დროშას.

ადამიანისათვის უძვირფასესია სიცოცხლე, მაგრამ სიცოცხლეზე ძვირფასია მეგობრობა, — ამბობს უკრაინელი მწერალი იური ზბანაცკი. — ასეთ მეგობრობას უმღეროდნენ დ. გურამიშვილი და ლ. უკრაინკა. ამ დღეებში უკრაინელმა ხალხმა დიდი ზეიმით აღნიშნა დ. გურამიშვილის გარდაცვალების 160 წლისთავი. დღეს ჩვენ მოწმენი ვართ ქართველი ხალხის ზეიმისა, რომელიც მიძღვნილია ლესია უკრაინკას ხსოვნის უკვდავყოფისადმი.

მიტინგზე ლექსი წაიკითხა პოეტმა-აკადემიკოსმა გ. ლეონიძემ:

როგორც ყორნის ფრთის ნაჩრდილმა
წარსულმა გადაიარა
და შენც, შიგ გულში დაჭრილო,
მოგირჩა მწარე იარა.
გულზე შავი ცა გეხურა,
შუადამეთა სიმძიმე,
მაგრამ ლესიას ლექსებმა
ვარსკვლავნი ააციმციმეს.

შენ, უკრაინავ, ჩვენო ძმავ,
ნაომარო და აღმდგარო,
დნეპრო, კიევო, ალვებო,
ალუბლიანო ბაღნარო,
ისწრაფვით — საქართველოდან
დღე დიდებისა გახაროთ.
დღეის დღე ლესიას დღეა,
გულს მისი ცეცხლი ედება,
„ნეტავი ძმათა მრავალთა,
მზე ცხრაჯერ გაუთენდებათ“.

გილოცავთ ჩვენი დავითიც,
მისი ხმა დღესაც გვსმენია,
გილოცავენ ქართველს ვაჟებიც,
მკერდზე რომ სისხლი სდენიათ,
შენთვის თავდადებულები,
შენს მიწაში რომ სვენიან.
იმ სისხლით შეფიცულები
ურყეველ ძმობას გახარებთ,
ვაშა, რომ დროშა სტალინის
ბრძოლაში არსად დახარეთ.
ვაშა, რომ ჰყვავი, შენდები,
რომ გულზე ვარდი დაისხი,
იცოცხლე წელი იმდენი,
რამდენიც მოვა მაისი.
მარად ბრწყინავდეს ჩახჩახით
ძმობის მზე მომავალისა,
სანამდი დნეპრსა და მტკვარში
დიოდეს წვეთი წყალისა.

ლესია უკრაინკასადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს აგრეთვე პოეტმა კარლო კალაძემ და უკრაინელმა პოეტმა ლიუბოვ ზაბაშტამ.

მიტინგზე ხალხთა სტალინური მეგობრობისადმი, უკრაინელი და ქართველი ხალხის ისტორიული ძმობისადმი, ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის ზეიმისადმი, ხალხთა შორის მშვიდობისა და მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომისადმი მიძღვნილი სიტყვები წარმოთქვეს ს. ჭილაიამ, შ. რადიანმა, აზერბაიჯანელმა მწერალმა მ. იბრაგიმოვმა, სომეხმა მწერალმა ნ. ზარიანმა, გ. დედაბრიშვილმა, დოცენტმა დ. მგელაძემ, პიონერმა ლ. ჯომარდიძემ, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პროპაგანდისტთა გადასამზადებელი კურსების მსმენელმა ნ. არდაშელიამ. პროპაგანდისტთა კურსების მსმენელებმა თაიგულებით შეამკეს ლ. უკრაინკას ძეგლი.

მიტინგზე გამოქვეყნებულ იქნა ლ. უკრაინკას ძეგლის, ბიბლიოთეკისა და გამოფენის საზეიმო გახსნასთან დაკავშირებით ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან გამოგზავნილი დეპეშები, აგრეთვე ბიბლიოთეკისათვის გამოგზავნილ საჩუქართა სია.

მიტინგმა უდიდესი აღფრთოვანებით მიიღო დიდი სტალინის სახელზე გასაგზავნი მისალმების ტექსტი.

მისალმება გაეგზავნა აგრეთვე უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს და უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს.

მიტინგის დამთავრების შემდეგ დაიწყო ლესია უკრაინკას ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი გამოფენის დათვალიერება.

მიტინგი სურამში, მიძღვნილი უკრაინული ლიტერატურის კლასიკოსის ლესია უკრაინკას ძეგლის, ბიბლიოთეკის და პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი გამოფენის გახსნისადმი. ტრიბუნაზე — პოეტი-აკადემიკოსი გ. ლეონიძე.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲝᲚᲥᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲛᲐ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲔᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲐᲢᲧᲚᲘᲡ ᲩᲐᲑᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲒᲔᲒᲛᲐ

ქუთაისის ოლქის კოლმეურნეობებმა 1 აგვისტოსათვის 107 პროცენტით შეასრულეს სახელმწიფოსათვის მატყლის ჩაბარების წლიური გეგმა.

სახელმწიფოსათვის მატყლის ჩაბარება გრძელდება.

ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ᲐᲡᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲛᲐ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲔᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲠᲫᲘᲡ ᲩᲐᲑᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐ

აჭარის ასს რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა 31 ივლისისათვის 100,4 პროცენტით შეასრულეს სახელმწიფოსათვის რძის ჩაბარების ივლისის დავალება.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲪᲔᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲥᲐᲠᲮᲐᲜᲐᲛ ᲒᲐᲓᲐᲭᲐᲠᲑᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲐ ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ

სტალინის სახელობის საქართველოს ცემენტის ქარხანამ ცემენტის წარმოების ივლისის გეგმა შეასრულა 105 პროცენტით.

ქარხანამ გეგმის გადაჭარბებით დაამზადა ჩვენი ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი რაოდენობის მაღალხარისხოვანი ცემენტი. (საქდესი).

ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘ ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲔᲡ

ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲐ. (საკ. კორ.). ჭიათურელი მაღაროელები ბეჯითად მუშაობენ წლიური დავალების ვადამდე შესრულებისათვის. მარგანეცის ტრესტის კოლექტივმა სასაქონლო პროდუქციის დამზადების შვიდი თვის გეგმა ვადაზე 7 დღით ადრე შეასრულა.

მაღალნაყოფიერად მუშაობენ ლენინის სახელობის და დიმიტროვის სახელობის მაღაროთა კოლექტივები.

* * *

ᲥᲝᲒᲣᲚᲔᲗᲘ. ტუნგოს ზეთის სახელმა ქარხანამ წლიური საწარმოო გეგმა 24 ივლისისათვის გაანაღდა. გამოშვებული პროდუქციის ხარისხი საუკეთესოა.

ქარხნის კოლექტივმა იკისრა ახალი ვალდებულება—წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით გამოუშვას რამდენიმე მილიონი მანეთის პროდუქცია.

ქაქ დიუკლო მოითხოვს სასამართლო ხელისუფალთა პასუხს

პარიზი, 3 აგვისტო. (საკდესი). გაზეთმა „ლუმანიტემ“ გამოქვეყნა ქაქ დიუკლოს შემდეგი შინაარსის წერილი გამომძიებელ გოლეტისადმი:

„ამა წლის 28 ივლისს, როცა თქვენ მომისმინეთ, როგორც სამოქალაქო მაძიებელს ამის შესახებ, რომ გამოქვეყნდა პოლიტიკური და ეკონომიური შენიშვნები ჩემი უბის წიგნაკიდან, რომელიც 28 მაისს მომპარეს, მე გთხოვეთ აგრეთვე მოგესმინათ ბ-ნ ბრიუნისათვის, რომელმაც ყველაზე უკეთ იცის, თუ რა მოხდა, და ყოველ ეჭვს გარეშეა, იცის, თუ ვისი მიზნით გამოქვეყნდა ეს შენიშვნები. დღემდე თქვენ საჭიროდ არ მიგიჩნევიათ ჩემი თხოვნის დაკმაყოფილება.

მაგრამ მე მსურს განვმარტო, რომ იმ პერიოდის გაზეთების წაკითხვა სრულიად უეჭველს ხდის ბ-ნ ბრიუნის და მისთვის დაქვემდებარებული ორგანოების როლს.

მართლაც, გაზეთი „ფრანს სუარი“, რომელიც პოლიციის ინფორმაციას პირველწყაროდან იღებს, შემდეგს წერდა 31 მაისს ნომერში: „ტამპლის ეუჩაზე დაპატიმრებულ ქაქ დიუკლოს თითქოს ჰქონდა „უბის წიგნაკი“, რომლის გვერდებიც გადაიღეს მიკროფილმზე“. გარდა ამისა, გაზეთი „ეპოკი“ 31 მაისის ნომერში წერდა: „ბ-ნ ქაქ დიუკლოს დაპატიმრების მომენტში თან ჰქონდა უბის წიგნაკი, რომელიც პოლიციამ მაშინვე ჩაიგდო ხელში და რომლის ყველა გვერდი გადაღებულ იქნა მიკროფილმზე“.

დასასრულ, გაზეთი „ნორ-მატენი“ 31 მაისის ნომერში იუწყებოდა: „კომუნისტური პარტიის მდივანს ჩამოართვეს უბის წიგნაკი, რომლის ყველა გვერდი გადაღებულ იქნა მიკროფილმზე პოლიციის პრეფექტურაში“.

იმასთან დაკავშირებით, რომ პრესის ეს ცნობები არ უარუყვიათ, საეჭვოდ მიმაჩნია რაც შეიძლება მალე მოუსმინოთ ბ-ნ ბრიუნს და აგრეთვე პოლიციის პრეფექტ ბეელს. უკანასკნელმა დასასრულ პარიზის მუნიციპალური სამჭოს წევრებს გაუკეთა განცხადებანი, რომელთა შესახებ მას ახსნა-განმარტება უნდა მოეთხოვოს. როგორც წინათვე გაცნობებდით, ამ საქმეში ჩანს ან თანამდებობრივი დანაშაული, ან კორუფცია, ანდა, შესაძლებელია, ერთიცა და მეორეც. ყველასათვის გაუგებარია, თუ რატომ არ ფენენ შუქს იმ პირობებს, რომლებშიც ამერიკელთა ბეჭდვითმა ორგანოებმა და საფრანგეთის აგენტებმა შეძლეს მიეღოთ საფრანგეთის პოლიციის მიერ გადაღებული მიკროფილმი, რადგან ქვემოთ მოყვანილი ნაწყვეტებიდან, რომლებიც მოთავსებულია პრესაში, ცხადია, რომ ამ საქმეში ჩარეულია პოლიცია და მხოლოდ და მხოლოდ იგი.

ერწმუნეთ და სხვ.

სენის დეპარტამენტის დეპუტატი ქაქ დიუკლო“.

ამერიკის შეერთებულ შტატებთან სამხედრო შეთანხმება ომისა და სიღატაკის პაქტია

უარუგვაის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის მოხსენება

მონტევიდეო, 4 აგვისტო. (საკდესი). ურუგვაის გაზეთმა „ხუტისიამ“ გამოქვეყნა ურუგვაის კომპარტიის გენერალური მდივნის ეუზენიო გომესის მოხსენება კომუნისტური პარტიის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე ურუგვაისა და ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო შეთანხმების შესახებ.

„გაბატონებული კლასების მიერ ჩვენი ქვეყნისათვის თავსმოხვეული რეჟიმისა და პროიმპერიალისტური პოლიტიკის შედეგად, რომელსაც ისინი ეწევიან, — თქვა გომესმა, — ჩვენს ქვეყანაში გამწვავდა კრიზისი. ჩვენ მოწმენი ვართ ნამდვილი ეკონომიური კრახისა, რომლის შედეგადაც იზრდება მშრომელი კლასების ეკონომიური სიძნელენი, მატულობს ხალხის სიღატაკე...

მმართველმა წრეებმა ჩვენი ქვეყანა ნახევარკოლონიად გადააქციეს. მთავრობა დაადგა ამერიკის დიქტატისადმი და ომის პოლიტიკისადმი სრული მორჩილების გზას... ამას მოწმობს მისი ეკონომიური დაგეგმვიდებულება დოლარის ზონაზე, ისეთი პირობების მინიჭება სამხედრო მისიებისათვის, რომლებიც ბღალავენ ჩვენს სუვერენიტეტს, ამას მოწმობს ის, რომ მას მართლაც პოზიცია უკავია გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, გამალებული შეიარაღების მისი პოლიტიკა და დასასრულ სამარცხვინო სამხედრო შეთანხმება, რომელიც მოწონებულია სახელმწიფო საბჭოს მიერ და წარმოადგენს სულმდაბალურ მლიქვნელობას ჩვენი სამშობლოს დაუძინებელი მტრის, ჩვენი ეროვნული სუვერენიტეტის ჯალათის — ამერიკის იმპერიალიზმის წინაშე“.

სამხედრო შეთანხმება არის „ომის, კოლონიზაციის, სიღატაკისა და რეპრესიების პაქტი. სამხედრო შეთანხმების დადება ეროვნული ღალატის აქტია“. სამხედრო შეთანხმება, განაგრძო გომესმა, ნიშნავს: პირდაპირ თავდასხმას ჩვენს სუვერენიტეტზე; ჯარების გადაცემას ამერიკის იმპერიალიზმის განკარგულებაში კორეაში ომისათვის ან აგრესიის სხვა გეგმების განხორციელებისათვის; ლათინური ამერიკის ქვეყნების შეიარაღებას ურთიერთშორის შეტაკებისათვის, რათა უფრო აღვილი გახდეს მათი კოლონიებად გადაქცევა; ამერიკელი დიქტატორებისა თუ დიქტატორობის კანდიდატების შეიარაღებას ხალხის ჩასახშობად; ეროვნული არმიის დამორჩილებას ამერიკის სარდლობისადმი; გამალებულ შეიარაღებასა და სამხედრო ხარჯების ზრდას, რაც კიდევ უფრო გაამწვავებს ეკონომიურ კრიზისსა და ხალხის სიღატაკეს; ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ დამონებას; ეროვნული მეწველობის დანგრევასა და ჩვენი ქვეყნის გადაქცევას ნედლეულის მომწოდებლად; სისტემატური ჯაშუშობის დაწესებასა და სპეციალური პოლიციის შექმნას.

შემდეგ გომესმა აღნიშნა, რომ, თუმცა სამხედრო შეთანხმების დადების მომხრეებს პარლამენტში ხმების უმეტესობა მოეპოვებათ, მაგრამ მათ არა აქვთ მოქმედების თავისუფლება, რადგან მუშათა კლასი და ხალხი სულ უფრო მეტ აქტივობას იჩენენ და შეთანხმების წინააღმდეგ გამოდიან. მან აღნიშნა, რომ ურუგვაის კომპარტიის ცენტრალური ამოცანაა მშვიდობისათვის ბრძოლა. ამ ამოცანის შესრულებაზეა დამოკიდებული ყველა იმ პრობლემის გადაჭრა, რომლებიც ურუგვაელ ხალხს აღელვებს.

დასასრულ გომესმა მოუწოდა ურუგვაელ ხალხს გაერთიანდეს იმისათვის, რომ ებრძოლოს პარლამენტის მიერ ამერიკის შეერთებულ შტატებთან სამხედრო შეთანხმების რატიფიკაციის წინააღმდეგ, რათა მიაღწიოს მის ჩაშლას.

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 2 აგვისტო. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის 2 აგვისტოს ცნობაში ნათქვამია:

გასული დღის მანძილზე სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეებთან მჭიდრო თანამოქმედებით განაგრძობდნენ თავდაცვითს ბრძოლებს წინანდელ ზღუდეებზე.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და მტრის თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის 3 თვითმფრინავი.

ფხენიანი, 3 აგვისტო. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოქვეყნა ცნობა, რომ კორეის სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან ერთად ფრონტის ცალკეულ უბნებზე განაგრძობდნენ თავდაცვითს ბრძოლებს, იგერიებდნენ მოწინააღმდეგის იერიშებს და დიდ ზარალს აყენებდნენ მას.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო არტილერიის ნაწილებმა და მტრის თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის 4 და დააზიანეს სამი თვითმფრინავი.

დაიხურა XV საერთაშორისო ოლიმპიური ასპარეზობა

საბჭოთა სპორტის გამარჯვება

ჰელსინკი, 3 აგვისტო. (საკდესი). დღეს დამთავრდა XV საერთაშორისო ოლიმპიური ასპარეზობა. ასპარეზობაში, რომელშაც 16 დღეს გასტანა, მონაწილეობა მიიღეს 70 ქვეყნის სპორტსმენებმა (7 ათასამდე სპორტსმენმა).

შეჯიბრების შედეგად საბჭოთა სპორტსმენებმა ქულების რაოდენობით პირველი ადგილი დაიკავეს ოლიმპიურ ასპარეზობაზე. საბჭოთა სპორტსმენებმა დაამყარეს ორი ახალი მსოფლიო რეკორდი, 3 ევროპისა და 12 საკავშირო რეკორდი.

... 19 საათზე ადგილობრივი დროით ცენტრალური სტადიონის კარიდან შემოდიან მედროშენი. მათ მოაქვთ ყველა იმ ქვეყნის სახელმწიფო ალმები, რომელთა წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ოლიმპიურ ასპარეზობაში. თვითეული მედროშის გვერდით არის სპატიო ყარაული — სათანადო გუნდის სპორტსმენი. ტრადიციით პირველი მოდის საბერძნეთის მედროშე. სტადიონის ტრიბუნებზე მყოფი საზოგადოება ტაშით ხვდება საბჭოთა დროშისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების დროშების გამოჩენას. საბჭოთა დროშა მოაქვს მძიმე წონის ძალოსანს XV საერთაშორისო ოლიმპიური ასპარეზობის ჩემპიონს ლომაკინს. სპატიო ყარაულში დროშის გვერდით მოდის მსოფლიო რეკორდსმენი კალინა ზბინნა.

მედროშენი ტრიბუნასთან ჩამწკრივდნენ ნახევარწრედ.

ტრიბუნაზე ადის საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ედსტრემი. იგი XV საერთაშორისო ოლიმპიურ ასპარეზობას დახურულად აცხადებს.

გაისმის ოლიმპიური ფანფარების ხმა. 19 საათსა და 25 წუთზე ჩაქრეს ოლიმპიური ცეცხლი, რომელიც სტადიონზე ენთო დიდ ოლიმპიურ ფიალაში.

გაისმის ქვემეხთა სალუტი. სტადიონის ფლაგშტოკებიდან უშვებენ ოლიმპიურ ალამს.

გუნდი და ორკესტრი ასრულებენ ოლიმპიურ ჰიმნს. ოლიმპიური ალამი მიაქვთ სტადიონიდან. მას ორკესტრისა და გუნდის მარშის ხმაზე მიჰყვებიან იმ ქვეყნების მედროშენი, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ოლიმპიურ ასპარეზობაში. ორკესტრი ასრულებს ფინეთის ეროვნულ ჰიმნს.

XV საერთაშორისო ოლიმპიური ასპარეზობა დამთავრებულია.

ოლიმპიური ასპარეზობის დახურვას დაესწრნენ ფინეთის პრეზიდენტი პაასიკივი, პრემიერ-მინისტრი კეკონენი, ფინეთის მთავრობის წევრები, აგრეთვე დიპლომატიური კორპუსის წევრები.

პრემიების მინიჭება კარლოვი ვარის საერთაშორისო კინოფესტივალზე

საბჭოთა კინოდელეგაციის წარმატება

კარლოვი ვარი, 3 აგვისტო. (საკდესი). დღეს გაიმართა მე-7 საერთაშორისო კინოფესტივალის პრემიებისა და დიპლომების საზეიმო გადაცემა.

დამსწრეთ სიტყვით მიმართა ჩეხოსლოვაკიის პრემიერ-მინისტრმა ა. ზაპოტოცკიმ. თავის სიტყვაში, რომელიც მას არაერთხელ შეაწყვეტინეს ტაშით, ზაპოტოცკიმ ხაზგასმით აღნიშნა მე-7 საერთაშორისო კინოფესტივალის დიდი პოლიტიკური და კულტურული მნიშვნელობა და ახალი წარმატებები უსურვა მის მონაწილეებს ფესტივალის იმ იდეის განსახორციელებაში, რომელიც გამოიხატება ლოზუნგით: „მშვიდობისათვის, ახალი ადამიანისათვის, უფრო სრულყოფილი კაცობრიობისათვის!“.

შემდეგ გამოვიდა საერთაშორისო კინოფესტივალის ჟიურის თავმჯდომარე, პრაღის მუსიკალური კულტურის აკადემიის რექტორი მ. ა. ბროუსილი, რომელმაც დაწერილებით დაახასიათა პრემიებით და ფესტივალის საპატიო დიპლომებით დაჯილდოებული ფილმები. ბროუსილმა განსაკუთრებით დაწვრილებით ილაპარაკა საბჭოთა კინემატოგრაფის შესანიშნავი ნაწარმოების „დაუვიწყარი 1919 წლის“ მხატვრულ ღირსებებზე. ეს ნაწარმოები, თქვა ბროუსილმა, გამოირჩევა მაღალი იდეურობით და მხატვრული ოსტატობით, ქმნის ლენინ-სტალინის ისტორიული ეპოქის წარმტაც სურათს და თავისი რევოლუციური ძალით უაღრესად შეესაბამება თანამედროვეობის სულისკვეთებას. ბროუსილმა განაცხადა, რომ საბჭოთა კინოხელოვნებამ, რომელიც მაგალითია მთელი მსოფლიოს პროგრესული კინემატოგრაფიისათვის, ამ ფესტივალზე კვლავ გვიჩვენა თავისი უბადლო დონე. ბროუსილმა აღნიშნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კინემატოგრაფიის შესანიშნავი წარმატებანი.

„ოწყება ფესტივალის ჯილდოების გადაცემა. საბჭოთა კინოშუამავლის დელეგაციის სახელით სტალინური პრემიის ლაურეატი რეჟისორი ჭიაურელი პრემიერ-მინისტრ ა. ზაპოტოცკისაგან იღებს ფესტივალის უმაღლეს ჯილდოს—„დიდ პრემიას“, რომელიც მიენიჭა ფილმს „დაუვიწყარი 1919 წელი“. დარბაზში გაისმის მჭუხარე ტაში. ისმის შეძახილები „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს“.

შემდეგ გადასცეს სხვა პრემიები, რომლებიც საერთაშორისო კინოფესტივალზე მიენიჭა საუკეთესო ფილმებს.

მათ შორის „მშვიდობის პრემია“ მიეკუთვნა საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კინემატოგრაფიის ნაწარმოებს, მხატვრულ-დოკუმენტალურ ფილმს — „ჩვენ მშვიდობა გვსურს“. „მშვიდობის პრემიით“ დაჯილდოებულია იგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ფილმი „დაუპატიჟებელი სტუმრები“.

„თავისუფლებისათვის ბრძოლის პრემიით“ დაჯილდოებულია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ფილმი „სახალხო მებრძოლნი“ და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ფილმი „კვლავ ფრონტზე“.

„ხალხთა მეგობრობის პრემიით“ — ჩეხოსლოვაკიის ფერადი ფილმი „ხვალ ყველგან იცეკვებენ“.

„შრომის პრემიით“ — უნგრული ფილმი „საბრძოლო ნათლობა“.

„სოციალური პროგრესისათვის ბრძოლის პრემიით“ — რუმინული ფილმი „მიტრია კოკორი“ და ინდოეთის ფილმი „ბაბლა“.

პრემიით სამხედრო რეპორტაჟისათვის — კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ქრონიკალური და დოკუმენტალური ფილმებიდ, კერძოდ დოკუმენტალური ფილმი, რომელიც ამხილებს ამერიკელ იმპერიალისტებს, ბაქტერიოლოგიურ იარაღს რომ ხმარობენ კორეაში.

პრემიებით ბრწყინვალეული ფილმებისათვის — პოლონური ფილმი „შოპენის სიჭაბუკე“ და უნგრული ფილმი „ზემელვეისი“.

პრემიით მუსიკალური ფილმებისათვის — უნგრული ფილმი „ერკელი“.

საჰაერო პარადი პეკინში

პეკინი, 3 აგვისტო. (საკდესი). ჩინელი ხალხი სახარულით აღნიშნავს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გმირი სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის 25 წლისთავს.

დღეს ათასობით სადღესასწაულოდ მორთული პეკინელი, სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის მებრძოლები, სახალხო მოხალისეთა რაზმების წარმომადგენლები შეიკრიბნენ აეროდრომზე. ისინი მხურვალედ მიესალმნენ სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის სამხედრო-საჰაერო ფლოტს, რომლის მფრინავებმა ცხადყვეს მაღალი ოსტატობა.

სტუმრებს შორის არიან სამრეწველო საწარმოთა და სოფლის მეურნეობის გმირები და მოწინავეები, სახალხო საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სახალხო მოხალისეთა რაზმების ნაწილების წარმომადგენლები და დიპლომატიური კორპუსი.

მჭუხარე ოვაციებითა და შეძახილებით: „გაუმარჯოს მაო ძე-დუნს!“, „გაუმარჯოს ჯუ დეს!“, „გაუმარჯოს სახალხო განმათავისუფლებელ არმიას!“, შეხვდნენ დამსწრენი ჯუ დეს, ჯოუ ენ-ლაის, ლი ძი-შენის, ნე ჟუნ-ჯენის, უ იუი-ჯანის და სხვათა გამოჩენას ტრიბუნაზე.

დილის 9 საათზე აეროდრომის თავზე გამოჩნდა მედროშე თვითმფრინავთა რგოლი მაო ძე-დუნის პორტრეტით. რამდენიმე წამის შემდეგ ცაში აფრინდა ავიაგამანადგურებელი, რომელმაც უჩვენა უმაღლესი პილოტაჟის ფიგურა.

მჭუხარე ტაშით შეხვდნენ დამსწრენი თვითმფრინავთა რგოლს, რომლებმაც ცხადყვეს ზუსტი ურთიერთმოქმედება რთული საბრძოლო ფიგურების შესრულებისას. ერთი წამის შემდეგ ჰაერში აფრინდა ჩქარისნული ავიაგამანადგურებელი, რომელმაც შეასრულა რთული საბრძოლო ფიგურები, მკვდარი მარყუჟი და ფრთაზე გადაბრუნება. შემდეგ აეროდრომზე გამოჩნდა სატრანსპორტო თვითმფრინავი, რომლიდანაც ხუთმა პარაშუტისტმა შეასრულა გახანგრძლივებული გადმოხტომა. შემდეგი თვითმფრინავიდან ჯგუფად გადმოხტა 10 პირველი ჩინელი ქალიშვილი პარაშუტისტი.

მზეზე ბრწყინავს სატრანსპორტო თვითმფრინავთა მწყობრი, რომლებმაც გადმოსხეს შეიარაღებული საჰაერო დესანტი. პარაშუტისტები ნელა ეშვებიან მწვანე მინდორზე. შემდეგ მედესანტე პარაშუტისტები კოლონებად დაეწყვნენ, ტრიბუნას ჩაუარეს და პატაკი მისცეს მთავარსარდალ ჯუ-დეს.

საჰაერო პარადის მონაწილეებმა დღეს ცხადყვეს თავიანთი საბრძოლო ოსტატობა, მზარდი ძლიერება სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის სამხედრო საჰაერო ფლოტისა, რომელიც ფხიზლად იცავს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საჰაერო სივრცეს.

დალაი ლამის მისალმება მაო ძე-დუნისა და ჯუ დესადმი ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის 25 წლისთავის გამო

პეკინი, 2 აგვისტო. (საკდესი). სინხუას საგენტოს კორესპონდენტი ლხასიდან იუწყება, რომ დალაი-ლამამ ტიბეტის ადგილობრივი მთავრობის სახელით მისასალმებელი წერილი გაუგზავნა თავმჯდომარე მაო ძე-დუნსა და სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის მთავარსარდალს ჯუ დეს არმიის დღის გამო.

25 წლის დაძაბული ბრძოლის განმავლობაში, ნათქვამია წერილში, ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელმა არმიამ თავმჯდომარე მაო ძე-დუნისა და მთავარსარდალს ჯუ დეს ხელმძღვანელობით გაათავისუფლა ჩინეთის ყველა ეროვნება უცხოეთის იმპერიალიზმის უღლისაგან და მჭიდროდ გააერთიანა ყველა მოძმე ხალხი. ტიბეტში შესულმა სახალხო-განმათავისუფლებელმა არმიამ სანიმუშო დისციპლინა და მუშაობის საუცხოო სტილი გამოიჩინა. იგი ხელს უწყობდა ერთიანობის გაძლიერებას ტიბეტის აღგილობრივ მთავრობასა, ბერებსა და ერისკაცებს შორის და დაგვეხმარა უფრო ღრმად შეგვეგნო, რომ იგი ჩვენი საკუთარი არმიაა.

იმ დროს, როცა მთელი ძალღონე ხმარდება ჩვენი ეროვნული თავდაცვის განმტკიცებას, მე გიგზავნით ჩემს მისალმებას ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის დაარსების დღის გამო.

მდგომარეობა ეგვიპტეში

ბეირუთი, 2 აგვისტო. (საკდესი). რადიოსა და პრესის ცნობით, ეგვიპტის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალმა გენერალმა ნაგიბმა გასცა ბრძანება კაიროსა და ალექსანდრიის ქუჩებიდან ჯარების გაყვანის შესახებ.

..ისკრას'' საკავშირო ჩემპიონატი ჭადრაკში

პირველ აგვისტოდან ოდესაში დაიწყო ნებაყოფლობითი სასპორტო საზოგადოება „ისკრას“ საკავშირო პირადი პირველობის გათამაშება ჭადრაკში.

მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, ოდესისა და სხვა ქალაქების მოჭადრაკეებთან ერთად ამ შეხვედრებში მონაწილეობენ თბილისელი მოჭადრაკეები — ოსტატობის კანდიდატი ნ. სოროკინი, საქართველოს 1952 წლის ჩემპიონი ქალთა შორის ჭადრაკში ქ. გოგიაკა, ვ. ზარგარიანი, ლ. წეროძე და ლ. ზაიჩიკი.

ფეხბურთი

3 აგვისტოს ბერიას სახელობის „დინამოს“ სტადიონზე შედგა „ბ“ კლასის ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივების მორიგი შეხვედრა ჩვენი ქვეყნის პირველობაზე. თამაშობდნენ თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლისა და ალმა-ატის „დინამოს“ გუნდები.

შეჯიბრება დამთავრდა არმიელ ფეხბურთელთა გამარჯვებით (1:0).

ამრიგად, თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლის ფეხბურთელებს 5 თამაშას 10 შესაძლებლიდან მოგროვილი აქვთ 4 ქულა.

არმიელი ფეხბურთელების მორიგი შეხვედრა შედგება 10 აგვისტოს ბაქოში „ნეფტიანიკთან“

* * *

დაიწყო საქართველოს 1952 წლის თასის გათამაშება ფეხბურთში. პირველი კალენდარული შეხვედრა შედგა 3 აგვისტოს ბერიას სახელობის „დინამოს“ სტადიონზე ქუთაისისა და გუდაუთის „დინამოს“ გუნდებს შორის.

გაიმარჯვეს ქუთაისის დინამოელებმა ანგარიშით 4:0.

მოსწავლე ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატი

საქართველოს მოსწავლე ფეხბურთელთა კოლექტივი წარმატებით იბრძვის საკავშირო ჩემპიონატში. მესამე შეხვედრაში ჩვენი რესპუბლიკის გუნდმა დაამარცხა ლატვიის ფეხბურთელთა კოლექტივი ანგარიშით 3:0.

ამრიგად, საქართველოს მოსწავლე ფეხბურთელთა გუნდმა დღემდე ჩატარებული სამი შეხვედრიდან სამივე მოიგო. ბურთების საერთო შეფარდება — 20:0.

აჭარის თბილისისათვის

სამტრესტის დიდმის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში 11 ჰექტარზეა გაშენებული სხვადასხვა ჯიშის ატამი, 109 ჰექტარზე— ვენახი, დანარჩენ ფართობებზე — ქლიავი, გარგარი, ბალი, ალუბალი და სხვა ხეხილი.

ატამი უკვე შემოსულია და დაიწყო მისი კრეფა თბილისში გამოსაგზავნად. წელს ამ მეურნეობიდან თითქმის ხუთჯერ მეტ ატამს და ორჯერ უფრო მეტ ყურძენს გამოიტანენ თბილისის საკავშირო ქსელში, ვიდრე შარშან.

ყურძენიც მწიფდება. რამდენიმე დღის შემდეგ მეურნეობიდან საკავშირო ქსელში სარეალიზაციოდ ყოველდღიურად გაიგზავნება მრავალი ტონა ყურძენი.

სურათზე: ატმის კრეფა დიდმის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში. წინა პლანზე → მკრეფავი ნინო ლაზუაშვილი, რომელიც კრეფის გეგმას ორმაგად ასრულებს.

ფოტო რ. აკოფოვისა.

სარეწაო კოოპერაციის პრეზიდიუმში

საქართველოს სარეწაო კოოპერაციის საბჭომ დაავალა თავის არტელებს შეუდგნენ მასობრივი მოთხოვნილების ისეთი პროდუქციის გამოშვებას, როგორიც არის უთო, სამავშვო სათამაშოები, მაღალხარისხოვანი ტრიკოტაჟი და ა. შ.

მთელი რიგი არტელები უკვე შეუდგნენ მუშაობას ამ დავალების გასანაღდებლად. ეროშილოვის სახელობის არტელმა დაამზადა და საკავშირო ქსელს სარეალიზაციოდ გადასცა 2.300 ცალი ჩვეულებრივი (ნახშირის) უთო, არტელმა „მელითონემ“ დაიწყო ელექტროუთოს მასობრივად გამოშვება.

მთელ რიგ არტელებში შეუდგნენ სხვადასხვა სახის სამავშვო სათამაშოების, სოკოს მოყვანილობის ელექტრონათურებისა და სხვა პროდუქციის გამოშვებას.

პროფკავშირული აქტივის მომზადება

საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკურ საბჭოს პროფკავშირული აქტივის მოსამზადებელი ფართო ქსელი აქვს მოწყობილი რესპუბლიკაში. ამ ქსელმა მარტო მიმდინარე წლის პირველ ნახევარში მოამზადა 2.000-ზე მეტი აქტივისტი პროფკავშირელი, უმთავრესად პიონერთა ბანაკების მუშაკები.

ამჟამად პროფკავშირული აქტივის მოსამზადებელ ქსელში 800 კაცი სწავლობს. მათ შორის არიან საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების თავმჯდომარეები, პროფჯგუფების ორგანიზატორები, სხვადასხვა პროფკავშირული კომისიების თავმჯდომარეები. მსმენელთა უმეტესობას პერიფერიული პროფორგანიზაციების აქტივისტები შეადგენენ.

დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“

პირველი გვერდი — მოწინავე — სოფლის პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანები.

საბჭოთა კავშირის რკინიგზელების წერილი ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი.

რკინიგზელის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება თბილისში.

მეორე გვერდი — საბჭოთა კავშირის რკინიგზელების წერილი ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი (დასასრული).

გ. მახანაშვილი — ვალდებულება უნდა შესრულდეს. ე. გეგეჭკორი — დროზე დავამთავროთ სკოლების შეკეთება.

მესამე გვერდი — ურღვევი მეგობრობის ზეიმი (ლესია უკრაინკას ძეგლის გახსნა სურამში). უცხოეთის ინფორმაციები.

მეოთხე გვერდი — უცხოეთის ინფორმაციები.

რედაქტორი გ. მერკვილაძე

საქართველოს რადიოინფორმაციის გადაცემათა პროგრამა

6 აგვისტოს

რადიოსადგურებით 1571 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით: 06.25—ქართული სიმფონიური მუსიკის კონცერტი; 09.20—საბჭოთა კომპოზიტორების ნაწარმოებები; 11.00—შტრაუსისა და ვალდტეიფელის ვალსები; 12.15 — გრიგი—უვერტიურა „შემოდგომა“; 12.40—ქართული ხალხური სიმღერები; 17.15—გადაცემა მოსწავლეთათვის — გიორგი ლეონიძე: „ბერშოულა“; 17.30 — კონცერტი მოსკოვისათვის; 18.15 — ნაწყვეტები ბიზეს ოპერა „კარმენიდან“; 19.20—კალმანის, გურილიოვის და ალიაბიევის ნაწარმოებები.

რადიოსადგურებით 1500 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით: 20.30—ქალაქის ქსელით—კონცერტი ვეკერლენის ნაწარმოებებიდან, რადიოსადგურებით—გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის; 20.45—ქართული ხალხური სიმღერები; 21.00—კონსულტაცია; 22.50—საბალეტო მუსიკის კონცერტი; 00.05—საესტრადო მუსიკის კონცერტი.

თბილისის კავშირგაბმულობის ელექტროტექნიკუმი აგრძელებს შემსვლელთა განცხადებების მიღებას 10 აგვისტომდე. ტექნიკუმი ამზადებს ელექტროტექნიკოსებს რადიოს, ტელეგრაფის და ტელეფონის სპეციალობით. ტექნიკუმში მიიღებიან არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებული 14-დან 30 წლამდე ასაკის მოქალაქენი. სწავლის ვადა 4 წელია. განცხადებები მიიღება შემდეგი საბუთების თანდართვით: არასრული საშუალო სკოლის დამთავრების მოწმობა (დედანი), დაბადების მოწმობა (დედანი), ჯანმრთელობის მოწმობა, სამხედრო ვალდებულებასთან დამოკიდებულების ცნობა, სამი შემოწმებული ფოტოსურათი, ავტობიოგრაფია, პასპორტი (წარმოდგენილ უნდა იქნას პირადად). 1951 და 1952 წლებში არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ფრიადოსნები მიიღებიან უგამოცდოდ, დანარჩენები აბარებენ გამოცდებს რუსულ ენასა და ლიტერატურაში, მათემატიკაში, სსრ კავშირის კონსტიტუციაში, მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში.

ტექნიკუმში კურსდამთავრებულნი უზრუნველყოფილი იქნებიან სამუშაოთი სურვილისამებრ.

მისაღები გამოცდები იწყრამოებს 10-დან 20 აგვისტომდე, მეცადინეობა დაიწყება 1 სექტემბერს.

ტექნიკუმში მაღალებულნი უზრუნველყოფილი იქნებიან საცხოვრებელი ბინით სტიპენდია დაენიშნებათ იმ პირებს, რომლებიც მისაღებ გამოცდებს ჩაბარებენ ნიშანზე „არანაკლებ „ოთხისა“. ფრიადოსნებს მიეცემათ გადიდებული სტიპენდია.

განცხადებების მიღება სწარმოებს 9-დან 5 საათამდე.

მისამართი: ქ. თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 35. ტელეფონი №№ 3-18-41, 3-23-04.

მეუღლე ნინო, და ანა, შვილები თამარ, მარიამ, სოფიო, ნიკოლოზ, რძალი მაყვალა, სიძეები ალექსი, სერგო იუწყებიან **ისაკი ხოლმომონის-ძე გოგიჩაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 5, 6/VIII, 8 ს. გამოსვენება 7/VIII, 6 ს., სუნყენის ქ. 6.

მეუღლე ალიოშა, შვილი ნათელა, დედა ნატაშა, ძმები შოთა, ილია, იოსებ, დები ქსენია, აგრაფინა, რძლები გუგული, გალინა, ფატი, ნატა ეღენტები, სიძეები ვ. ავალიანი, გ. გუნცაძე, ვ. ჭკუასელი შვილებით იუწყებიან **მარგარიტა აბესალომის ასულ ეღენტი-ხარებავას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 5, 6/VIII, 8 ს. გამოსვენება 7/VIII, 6 ს. ფალიაშვილის, 48.

მშობლები მარო, არჩილ, ბიძები ვასო, მიხეილ, ნიკოლოზ, გუგული მირიანაშვილები, დეიდა როზა, ვალოდია, პეტრე, მიხეილ კორაშვილები ოჯახებით იუწყებიან **ზაირა არჩილის ასულ მირიანაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 5-6/VIII 8 ს. გამოსვენება 7/VIII 6 ს. მარტყოფის ქ. 6.

მშობლები სალომე, თეიმურაზ, მეუღლე თეიმურაზ, შვილები ვლადიმერ, დავით, რძლები მარიამ, ნათელა შვილიშვილები ვალოდია, ზინა, მარიამ, დარეჯან ჯოჯუები იუწყებიან **მინადორა თეიმურაზის ასულ ჯოჯუა-პაპავას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 5-6/VIII 8 ს. გამოსვენება 7/VIII 6 ს. წინაუბნის ქ. 9.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების — 3-81-84, სახოფლო-სამეურნეოსი — 3-57-61, საბჭოთა მშენებლობის, კულტურის, უოფაცხოვრ